

ევროკავშირის შესახებ

ეროვნული კონვენცია საქართველოში

ენერგეტიკული უსაფრთხოების
რაოდენობრივი შეფასება
ინსტიტუციური და
საკანონმდებლო ჩარჩო

ნატალია შათირიშვილი, გიორგი მუხიგულიშვილი,
ვერონიკა ორავცოვა, ალექსანდერ დულეზა

პროექტის პარტნიორი: სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA)
განმახორციელებელი პარტნიორი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი (LMF)
დონორი ორგანიზაცია: SLOVAKAID და ფრიდრიხ ებერტის ფონდი
პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი 2021 – აგვისტო 2022



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPA
Slovak Foreign Policy Association

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

შინაარსი

შესავალი	3
ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება საქართველოსა და სლოვაკეთში	4
ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორების ჩარჩო	44
საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება	46
ძირითადი მიგნებები	50

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2 კვლევის მოკლე შეჯამებას:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო - საქართველოს, სლოვაკეთისა და ევროკავშირის გამოცდილების შესწავლა.
- ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასების ინდიკატორები და 2019 წლის საბაზისო შეფასების შედეგები.

ანგარიშის პირველ ნაწილში მოცემულია პროექტის გუნდის მიერ შემუშავებული ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასების 27 კრიტერიუმი და ამ კრიტერიუმების მიხედვით ჩატარებული შეფასების შედეგები. კრიტერიუმები შემუშავებულია ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დირექტივებსა და შესაბამის საერთაშორისო კვლევით ანგარიშებზე დაყრდნობით. შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით ავტორებმა შეაფასეს ენერგეტიკული უსაფრთხოების სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა საქართველოსა და სლოვაკეთში.

კრიტერიუმების ერთობლიობა ქმნის შეფასების ჩარჩოს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ხელახალი შეფასების/განახლების მიზნით, ასევე, მათი საშუალებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ცვლილებებს, ვნახოთ, რა კომპონენტები გაუმჯობესდა და ა.შ. ამგვარად მიღებული ინფორმაცია დაეხმარება ეროვნულ ანგარიშებს (მაგ., NECP) და ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას, როგორცაა, მაგალითად, ენერგეტიკის ეროვნული სტრატეგია.

ანგარიშის მეორე ნაწილში აღწერილია ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასების ჩარჩო. ჩარჩო მოიცავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, მათი შეფასების მეთოდოლოგიას, მონაცემების წყაროებს და ნიშნულებს (დიაპაზონებს) შედარებითი შეფასებისათვის. ჩარჩოს სრული ვერსია წარმოდგენილია ანგარიშის დანართში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ჯგუფმა ჩარჩო-ინდიკატორების გამოყენებით შეაფასა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობა 2019 წელს (საბაზისო წელი). ეს არის პირველადი შეფასება, რომელიც შეიძლება რეგულარულად განახლდეს ძირითად ფაილში წარმოდგენილი ფორმულებისა და მონაცემთა წყაროების საშუალებით. ინდიკატორები შეიძლება გამოყენებული იყოს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სიღრმისეული შეფასების ანალიტიკურ ბაზად. ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთაშორისო ინდექსებისგან განსხვავებით, ინდიკატორები ითვალისწინებს ენერგეტიკის სექტორის ეროვნულ სპეციფიკას. ჩატარებული სამუშაო არის პირველი მცდელობა საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობის ყოვლისმომცველი შეფასებისა და მისი შემდგომი განვითარების წინაპირობის შესაქმნელად.

ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება საქართველოსა და სლოვაკეთში

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასებას საქართველოსა და სლოვაკეთში. ორივე ქვეყანაში შეფასება ჩატარდა ერთი და იმავე ინდიკატორებით, რაც შედარებითი შეფასების საფუძველს იძლევა. შეფასება ქართველმა და სლოვაკმა ექსპერტებმა ერთობლივად ჩაატარეს.

ცხრილი 1: საქართველოსა და სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება

კრიტერიუმი	არსებული მდგომარეობა/საქართველო	არსებული მდგომარეობა/სლოვაკეთი
საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო		
<p>1. აქვს თუ არა ქვეყანას ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და როგორ არის მასში გათვალისწინებული/სახელწილი ენერგეტიკული უსაფრთხოება?</p>	<p><u>საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ</u> (2015) განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებს, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესს და მისი დაგეგმვის მაკოორდინირებელი უწყებების უფლებამოსილებებს. ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილია.</p> <p><u>საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია</u> არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩათვლით.</p>	<p><u>სტრატეგიული დოკუმენტები ენერგეტიკის სფეროში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> <u>სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკული პოლიტიკა (2014)</u> https://rokovania.gov.sk/RVL/Material/11327/1 ინგლისური ვერსია: https://www.mhsr.sk/uploads/files/47NgRIPO.pdf <p>ენერგეტიკული პოლიტიკა არის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკის სექტორის ძირითად მიზნებსა და პრიორიტეტებს 2035 წლამდე, 2050 წლის ხედვით. იგი წარმოადგენს სლოვაკეთის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს (დოკუმენტის სახელწოდება: სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია 2030 წლამდე, სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო – დოკუმენტის ბოლო ვერსია მთავრობამ 2018 წლის 27 ივნისს დაამტკიცა: https://rokovania.gov.sk/RVL/Material/23019/1). ენერგეტიკული პოლიტიკა განსაზღვრავს სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკული პოლიტიკის 4 ძირითად მიმართულებას: ენერგეტიკული უსაფრთხოება (ენერჯის მიწოდების კუთხით), ენერგოეფექტიანობა, ენერგეტიკული ბაზრების კონკურენტუნარიანობა და მდგრადი ენერჯია (განახლებადი ენერჯის წყაროები). გარდა ენერგეტიკული პოლიტიკისა (2014), არსებობს სპეციალური სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ადგენს ატომური სადგურების დეკომისიის მიზნებსა და ღონისძიებებს და რადიოაქტიური</p>



ფონდის მიმართვის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFP
Slovak Foreign Policy Association



ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ყველა დოკუმენტი, ეროვნულ და სააგენტოს დონეზე, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას შეიმუშავენ საქართველოს მთავრობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მტკიცდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს კოორდინაციას უწევს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

2011 წელს საქართველომ გამოაქვეყნა [ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია](#). კონცეფცია მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ინტერესების, საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ; დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობები და პერსპექტივები ევროკავშირთან, თურქეთთან, აშშ-სთან, ასევე საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, როლი. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო მუშაობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლებაზე, რომელსაც პარლამენტს 2021 წლის ბოლომდე წარუდგენს.

ნარჩენების მართვას - სლოვაკეთის რესპუბლიკის ატომური ენერჯის მშვიდობიანი უტილიზაციის სტრატეგია: <https://www.mhsr.sk/uploads/files/ITgnG37d.pdf>

[ენერგეტიკული პოლიტიკა 2014 წელს განახლდა სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და კლიმატის 2021-2030 წლების ეროვნული გეგმით](#) (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და გარემოს დაცვის სამინისტრო, 2019 წელი - გეგმა შემდეგში მოხსენიებულია, როგორც NECP):

https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/sk_final_necp_main_en.pdf

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო პასუხისმგებელია ენერგეტიკული პოლიტიკის შეიმუშავებაზე მინიმუმ 20-წლიანი პერიოდისთვის, პოლიტიკა განახლდება 5-წლიანი ციკლით ენერგეტიკის შესახებ 251/2012 კანონის 88-ე ნაწილის შესაბამისად (იხ. ქვემოთ). [მთავრობის საქმიანობის ორგანიზებისა და ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ორგანიზების შესახებ 575/2001 კანონის მიხედვით](#) (<https://www.zakonypreludi.sk/zz/2001-575#cast2>), ეკონომიკის სამინისტრო (ენერგეტიკის ნაწილი) პასუხისმგებელია სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, მათ შორის - პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონმდებლობის პროექტების შედგენაზე, ასევე მათი შესრულების ზედამხედველობაზე. სამინისტრო არ სარგებლობს ადგილობრივი და უცხოური საკონსულტაციო კომპანიების მომსახურებით. NECP სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებმა ერთობლივად შეიმუშავეს.

[შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები](#) (დალაგებულია მიღების წლების მიხედვით):

- [შენიშვნის განახლების გრძელვადიანი სტრატეგია](#) (სლოვაკეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და მშენებლობის სამინისტრო - საკანონმდებლო პროცესზე წარდგენამდე, რომელიც, სავარაუდოდ, 2021 წელს დაიწყება: <https://www.slov-lex.sk/legislativne-procesy/-/SK/dokumenty/LP-2020-575>)
- [სლოვაკეთის რესპუბლიკის აღდგენის გეგმა](#) (სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობა ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, გეგმის დასრულება მოსალოდნელია 2021 წლის აპრილის ბოლოს); შემოთავაზებული რეფორმებისა და ინვესტიციების შუალედური შეჯამება ხელმისაწვდომია

ბმულზე: <https://www.mfsr.sk/sk/media/tlacove-spravy/plan-obnovy-putuje-do-pripomienkoveho-konania.html>.

- **თანამედროვე და წარმატებული სლოვაკეთი. რეფორმების ეროვნული ინტეგრირებული გეგმა** (შემუშავებული სლოვაკეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ 2020 წელს სხვა სამინისტროებთან თანამშრომლობით): <https://www.mfsr.sk/sk/financie/institut-financnej-politiky/strategicke-materialy/ine-strategicke-materialy/> - აღდგენის გეგმის შემუშავების ძირითადი გეგმა-დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სლოვაკეთის რესპუბლიკის რეფორმის მთავარ სფეროებს (ღონისძიებებს/აქტივობებს და ინვესტიციებს), მწვანე ეკონომიკის მიმართულების ჩათვლით (გავლენა ექნება სტრატეგიული დოკუმენტების მიღებასა და კანონმდებლობაზე უახლოეს წლებში).
- **სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების სტრატეგია** „ენერგეტიკას, ნედლეულს, გარემოს დაცვას და სურსათის უსაფრთხოებას“ განსაზღვრავს, როგორც სლოვაკეთის რესპუბლიკის სტრატეგიული უსაფრთხოების 20 ინტერესიდან ერთ-ერთს; კლიმატის ცვლილება და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოშლა ან განადგურება, მათ შორის, ენერგეტიკის სფეროში, ენერგეტიკული ნედლეულის მიწოდების შეწყვეტასთან ერთად, იდენტიფიცირებულია, როგორც საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის.
- **სლოვაკეთის რესპუბლიკის დაბალნახშირბადიანი განვითარების სტრატეგია 2030 წლისათვის, 2050 წლის ხედვით** (სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო, მიღებულია მთავრობის მიერ 2020 წლის 5 მარტს), ინგლისური ვერსია: <https://www.minzp.sk/files/oblasti/politika-zmeny-klimy/ets/its-sk-eng.pdf>
- **სლოვაკეთის რესპუბლიკაში ელექტრომობილობის განვითარების სამოქმედო გეგმა** (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით No 110/2019): <https://www.mhsr.sk/uploads/files/5wuw3LLe.pdf>
- **დადგენილება No 336/2019 ზემო ნიტრას ქვანახშირის რეგიონის გარდაქმნის სამოქმედო გეგმის შესახებ** (მიღებულია მთავრობის მიერ 2019 წლის 3 ივლისს) – გადაწყვეტილება ნახშირის მოპოვების ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ ზემო ნიტრას რეგიონში.



ՀԵՎԱՆԻ ԲԻՃԱԿՆԻ ԱՆՆԱԾՐՈՒՄԻՆ ՎՍՏՈՒՄԻ
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



- **მწვანე სლოვაკეთი. სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სტრატეგია 2030 წლამდე** (სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო, დამტკიცებულია მთავრობის მიერ 2019 წელის თებერვალში. ინგლისური ვერსია: https://www.minzp.sk/files/iep/greener_slovakia-strategy_of_the_environmental_policy_of_the_slovak_republic_until_2030.pdf - კოორდინაცია NECP-სთან; მოიცავს 2050 წლისათვის ნახშირბადნიტრალური ეკონომიკის მიღწევის მიზანს. მოიცავს მწვანე ეკონომიკის ნაწილს, სუფთა ენერჯის ჩათვლით (აქცენტი ენერგოეფექტიანობასა და განახლებადი ენერჯის წყაროებზე).
- **სლოვაკეთის რესპუბლიკის კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგია** (სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო, 2018): <https://www.minzp.sk/files/odbor-politiky-zmeny-klimy/strategia-adaptacie-sr-zmenu-klimy-aktualizacia.pdf>
- **პრევენციული სამოქმედო გეგმა** (ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის) (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2017): <https://www.mhsr.sk/uploads/files/PS41ZTp9.pdf>
- **საგანგებო გეგმა** (ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის) (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2017): <https://www.mhsr.sk/uploads/files/CFF8Tt6y.pdf>
- **სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგოეფექტიანობის სამოქმედო გეგმა 2017-2019 წლებისათვის 2020 წლის ხედვით** (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2017): <https://www.mhsr.sk/energetika/energeticka-efektivnost/spravy-o-pokroku> – 2008 წლიდან მოყოლებული, განახლდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.
- **სლოვაკეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2030 წლისათვის** (ტრანსპორტის, მშენებლობისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, დეკემბერი, 2016): <https://www.mindop.sk/ministerstvo-1/doprava-3/strategia/strategicky-plan-rozvoja-dopravy-sr-do-roku-2030/strategicky-plan-rozvoja-dopravy-sr-do-roku-2030>
- **საწვავის ალტერნატიული ბაზრის განვითარების ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო** (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო,

		<p>დამტკიცებულია მთავრობის No 504/2016 დადგენილებით): https://rokovania.gov.sk/RVL/Material/21564/1</p> <ul style="list-style-type: none"> • განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო: 2010): https://www.mhsr.sk/uploads/files/krFyTZfZ.pdf - დოკუმენტი გადაიხედა 2011 წელს: https://www.mhsr.sk/uploads/files/W58vMbYo.pdf • სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგოეფექტიანობის კონცეფცია (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2007): https://rokovania.gov.sk/RVL/Material/19492/1 • განახლებადი ენერჯის წყაროების უფრო მაღალი გამოყენების სტრატეგია (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2007): https://www.mhsr.sk/uploads/files/MuZlb3Ut.pdf • ენერჯის განახლებადი წყაროების უტილიზაციის კონცეფცია (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2003): https://www.mhsr.sk/uploads/files/59a0GhtE.pdf
<p>2. ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი კანონი</p>	<p>საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ (2018) ადგენს ელექტროენერგეტიკის სექტორში წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდების და ვაჭრობის და ბუნებრივი გაზის სექტორში გადაცემის, განაწილების, მიწოდების, შენახვისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გამართული, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის ბაზრების შექმნის, გახსნის, განვითარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით. კანონი ითვალისწინებს ევროკავშირის შემდეგი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს:</p>	<p>კანონი 251/2012 ენერგეტიკის შესახებ (ბოლო ცვლილება მოხდა 2021 წლის 1 იანვარს): https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/251/. კანონის რეგულირების სფეროები მოიცავს: ა) ენერგეტიკის სექტორში ბიზნესსაქმიანობის პირობებს; ბ) ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებს, ბაზარზე წვდომას; გ) ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრების ფუნქციონირებას; დ) იმ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებმა; ე) ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო ადმინისტრაციის მოვალეობებს; ვ) ენერგეტიკის სექტორში ბიზნესზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას. კანონი მუდმივად იცვლება სტრატეგიული და დაგეგმვის დოკუმენტების მიღების შესაბამისად.</p>



	<p>ა) 2009 წლის 13 ივლისის N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ;</p> <p>ბ) 2009 წლის 13 ივლისის N714/2009(EC) რეგულაცია ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ</p> <p>გ) 2006 წლის 18 იანვრის N2005/89/EC დირექტივა ელექტროენერჯის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.</p> <p>დ) 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დაწესების შესახებ;</p> <p>ე) 2009 წლის 13 ივლისის (EC) N715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელზე დაშვების პირობების შესახებ;</p> <p>ვ) 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების საფრთხეების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.</p>	
<p>3. ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი კანონები და კანონქმედებარე აქტები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ (1999) მიღებულია პარლამენტის მიერ 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დადგენილება ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ (2020) 3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) 	<p>გარდა ზემოთ აღნიშნული 251/2012 კანონის ენერგეტიკის შესახებ, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილი კანონები. ეს კანონები მუდმივად ახლდება სტრატეგიული დოკუმენტების მიღების შესაბამისად:</p> <p>კონსტიტუციური კანონი 227/2002 ომის, საბრძოლო მოქმედებების, საომარი მდგომარეობისა და საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ (ბოლო ცვლილება - 29 დეკემბერი, 2020): https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2002/227/</p> <p>კანონი 110/2004 მშვიდობიან პერიოდში სლოვაკეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს ფუნქციონირების შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2016): https://www.zakonypreludi.sk/zz/2004-110 ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც სლოვაკეთის რესპუბლიკის</p>



ფონან მიქელაძის საზღვარის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



4. [საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ](#) (2014)
5. [საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ბუნებრივი გაზის ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ](#), 2018
6. [საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ](#), 2020
7. [მინისტრის ბრძანება „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“](#), 2006
8. კანონი ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სავალდებულო მარაგების შესახებ შემუშავების პროცესშია
9. [საქართველოს მთავრობის დადგენილება #365](#)
[მაგისტრალური მილსადენების \(ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების\) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ](#)

უმშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი სამუშაო ორგანო (საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის დაგეგმვის, სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის, დაზვერვის სამსახურების კოორდინაციისა და კიბერუსაფრთხოების კომიტეტებთან ერთად).
კანონი 218/2013 ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სავალდებულო მარაგების შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2013-218>
 . კანონის საფუძველზე შეიქმნა **ნავთობის სავალდებულო მარაგების სააგენტო**, რომელიც, ინდუსტრიის მონაწილეების სახელით, პასუხისმგებელია სავალდებულო მარაგების შენარჩუნებაზე.
კანონი 179/2011 ეკონომიკური მობილიზაციის შესახებ და ომისა და საომარი მდგომარეობის მიღმა კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს მართვის შესახებ 387/2002 კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2011-179>

ნაწილი I: ენერჯის მიწოდება
კანონი 45/20021 კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 მარტი, 2021): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2011/45/20210301.html> - არეგულირებს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მუშაობას, მათ შორის - ენერგეტიკის ოთხ სფეროში: სამთო, ენერჯის სისტემა, გაზი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები.
კანონი 308/2018 ეროვნული ბირთვული ფონდის შესახებ და ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ (ატომური კანონი) No 541/2004 კანონში ცვლილების შეტანის შესახებ: <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2018/308/20190101>
კანონი 218/2013 ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სავალდებულო მარაგების შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2013-218>
კანონი 251/2012 ენერგეტიკის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/251/> - იხ. ზემოთ.
კანონი 179/2011 ეკონომიკური მობილიზაციის შესახებ და ომისა და საომარი მდგომარეობის მიღმა კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს მართვის შესახებ 387/2002 კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2011-179>
სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დეკრეტი 459/2008 (16 ოქტომბერი, 2008): <https://www.mhsr.sk/uploads/files/ew115ckO.pdf> [განსაზღვრავს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდების სფეროში საგანგებო



მდგომარეობის გამოცხადების დეტალურ პროცედურას, საგანგებო მდგომარეობის დროს შემაკავებელი ზომების გამოცხადებას და ზომებს საგანგებო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად].

კანონი 657/2004 თერმულ ენერგიასთან დაკავშირებით (ბოლო ცვლილება - 25 დეკემბერი, 2015): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2004/657/20151229.html>

კანონი 82/1994 სახელმწიფო მატერიალურ რეზერვებთან დაკავშირებით (ბოლო ცვლილება - 1 თებერვალი, 2008): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/1994/82/20080201.html> - არეგულირებს ნავთობის სტრატეგიული მარაგების ოპერირებას

ნაწილი II: ენერგოეფექტიანობა

კანონი 321/2014 ენერგოეფექტიანობის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2014-321>

სლოვაკეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, მშენებლობისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს დეკრეტი 364/2012 (12 ნოემბერი, 2012). შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ No. 555/2005 კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით: <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/364/>

კანონი 182/2011 ენერგოპროდუქტების ეტიკეტირების შესახებ: <https://www.epi.sk/zz/2011-182>

კანონი 529/2010 გარემოსდაცვითი დიზაინისა და პროდუქტების გამოყენების შესახებ (ეკოდიზაინის კანონი) (ბოლო ცვლილება - 1 აპრილი, 2018):

<https://www.zakonypreludi.sk/zz/2010-529>

კანონი 555/2005 შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 სექტემბერი 2019): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2005/555/>

ნაწილი III: ენერგეტიკული ბაზრის კონკურენტუნარიანობა

კანონი 251/2012 ენერგეტიკის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი 1, 2021): <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/251/> - იხ, ზემოთ.

კანონი 250/2012 ქსელური ინდუსტრიების რეგულირების შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 ნოემბერი, 2020):

http://www.urso.gov.sk/sites/default/files/dokumenty/ZZ_2012_250_20201101.pdf

		<p>კანონი 24/2006 გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (ბოლო ცვლილება - 21 ივლისი, 2020): https://www.zakonypreludi.sk/zz/2006-24</p> <p>კანონი 98/2004 მინერალურ ზეთზე აქციზის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2020): http://www.urso.gov.sk/sites/default/files/dokumenty/ZZ_2004_98_20200101.pdf</p> <p>ნაწილი IV: განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების ხელშეწყობა</p> <p>კანონი 309/2009 განახლებადი ენერჯის წყაროებისა და მაღალი ეფექტურობის კოგენერაციის მხარდაჭერის შესახებ: https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2009/309/20180201</p> <p>შენიშვნა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონები მუდმივად იცვლება სტრატეგიული დოკუმენტების მიღების შესაბამისად.</p> <p>ბირთვული ენერჯია:</p> <p>კანონი 541/2004 ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 ოქტომბერი, 2019): https://www.zakonypreludi.sk/zz/2004-541</p> <p>კანონი 238/2006 ბირთვული დანადგარების დეკომისიისა და დახარჯული საწვავის და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული ბირთვული ფონდის შესახებ (ბირთვული ფონდის კანონი) (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2019): https://www.zakonypreludi.sk/zz/2006-238</p> <p>კანონი 54/2015 ბირთვული ზიანისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2016), https://www.zakonypreludi.sk/zz/2015-54</p> <p>კანონი 87/2018 რადიაციისგან დაცვის შესახებ (კანონი ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრამდე): https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2018/87/</p>
<p>4. აქვს თუ არა ქვეყანას ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები (მათ</p>	<p>საქართველოს არ აქვს ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები, თუმცა 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც</p>	<p>NECP (2019) ენერგეტიკის პოლიტიკის (EP) განახლების ფარგლებში შემუშავდა. ენერგეტიკული უსაფრთხოების ოთხნაწილიან სტრუქტურას, რომელიც შეიძლება გაგებული იყოს ფართო კონტექსტში, NECP-მ დაამატა დეკარბონიზაციის ნაწილი, როგორც ენერგეტიკის სექტორის მეხუთე, ურთიერთგადამკვეთი, ნაწილი. NECP-მ გააერთიანა სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ უკვე შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტები. სლოვაკეთის რესპუბლიკის განახლებული უსაფრთხოების სტრატეგია (2021), რომელიც შემუშავებულია საგარეო და ევროპის საქმეთა სამინისტროსა და</p>



უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით.

2019 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მიიღო **საქართველოს ენერგეტიკის 2020-2030 წლების სტრატეგია**. სტრატეგია შეესაბამება „ენერგეტიკის სექტორში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“. ამჟამად სამინისტრო აახლებს ენერგეტიკის პოლიტიკის პრიორიტეტებსა და სტრატეგიას, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის (მუხლი 7) თანახმად, სამინისტრო (MoESD) საქართველოს მთავრობასთან, კომისიასთან (სემეკი) და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკას, სულ მცირე, 10-წლიანი პერიოდისათვის და საქართველოს პარლამენტის მიერ სათანადო წესით დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ უზრუნველყოფს მის განხორციელებას.

სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში გამოყენებულ ყველა ენერგეტიკულ რესურსს და მოიცავდეს **ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ, ინტეგრირებულ გეგმას (NECP)**, რომელიც მიმართული იქნება ენერგეტიკული უსაფრთხოების და სოლიდარულობის, ენერგეტიკული ბაზრების, სათბური გაზების ემისიების შემცირების, ენერგეტიკული სექტორის

თავდაცვის სამინისტროს მიერ, <http://mepoforum.sk/wp-content/uploads/2021/01/Bezpe%C4%8DnostnC3%A1-Strat%C3%A9gia-SR-2021.pdf>, მოიცავს სლოვაკეთის ენერგეტიკულ (და კლიმატის) საფრთხეებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის ღონისძიებებს, თუმცა ეს ეხება NECP/EP-სა და დოკუმენტს **მწვანე სლოვაკეთი** (2019, სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო).

უსაფრთხოების „ზოგადი“ სტრატეგიის უპირველესი მიზანი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ მოვიაზრებთ **სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების სტრატეგიას**, არის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში და არა იმდენად - ენერგეტიკის (და კლიმატის) პოლიტიკის სფეროებში. სლოვაკეთის რესპუბლიკის პოლიტიკის დაგეგმვისა და საკანონმდებლო პრაქტიკაში ეს ხდება სრულიად საპირისპიროდ ენერგეტიკისა (და კლიმატი) პოლიტიკის/უსაფრთხოების კუთხით. სწორედ ეკონომიკის სამინისტრო (ენერგეტიკის პოლიტიკა) და გარემოს დაცვის სამინისტრო (კლიმატის პოლიტიკა) არიან ის უწყებები, ვინც განსაზღვრავენ სახელმძღვანელო პრინციპებს, აფასებენ რისკებს და შეიმუშავებენ მათი გადაჭრის ღონისძიებებს, შეაქვთ შესწორებები კანონებში და პასუხისმგებელი არიან მათ განხორციელებაზე. ეს გამომდინარეობს სამინისტროებს შორის პასუხისმგებლობის დანაწილებიდან, რაც განსაზღვრულია კანონით **575/2001 მთავრობის საქმიანობის ორგანიზებისა და ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ორგანიზების შესახებ** (<https://www.zakonypreludi.sk/zz/2001-575#cast2>).

სლოვაკეთის რესპუბლიკის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგია (გარემოს დაცვის სამინისტრო, 2018) მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს ენერგეტიკის სექტორისთვის და განსაზღვრავს მათი მოგვარების გზებს.

თუმცა **კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია** (მომზადებული ეროვნული უსაფრთხოების უწყების მიერ და დამტკიცებული მთავრობის 5/2021 დადგენილებით) არ ეხება ენერგეტიკის სექტორის სპეციფიკურ საფრთხეებს: https://www.nbu.gov.sk/wp-content/uploads/kyberneticka-bezpecnost/Strategia_kybernetickej_bezpecnosti_2021.pdf

სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების რისკების მართვის ეროვნული სტრატეგია (შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2015 წ.) განსაზღვრავს კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების რისკებს, რომელიც მოიცავს ენერგეტიკის სექტორსაც: <https://rokovania.gov.sk/RVL/Material/12589/1>

	<p>ინოვაციურობის, კონკურენტუნარიანობისა და ენერჯიაზე მოთხოვნის მართვისკენ. ელექტროენერჯიის გადამცემი სისტემის ოპერატორი (TSO) – საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) ყოველწლიურად აქვეყნებს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას. უახლესი გეგმა მოიცავს 2021-2031 წლების პერიოდს.</p> <p>გაზის სექტორში საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) აქვეყნებს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას. უახლესი გეგმა მოიცავს 2021-2030 წლებს.</p> <p>2021 წლის მარტში MoESD-მ გამოაქვეყნა მიწოდების უსაფრთხოების ანგარიში ელექტროენერგეტიკულ სექტორში.</p> <p>2021 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა განახლებული, ერთვნილ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი, საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგია 2030 და კლიმატის ცვლილების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.</p> <p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) მუშაობს საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის განახლებაზე (LEDS).</p>	
<p>5. აქვს თუ არა ქვეყანას დადგენილი ეროვნული ენერგეტიკის</p>	<p>საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) სამუშაო ვერსია ენერგეტიკული უსაფრთხოების ნაწილში შემდეგ მიზნებს მოიცავს:</p>	<p>იხ. ნაწილი „ეროვნული მიზნები და ამოცანები“: სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა 2021-2030 წლებისათვის (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და გარემოს დაცვის სამინისტრო 2019 – NECP): https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/sk_final_necp_main_en.pdf, გვ. 39-79.</p>



- მიწოდების რისკების შემცირება ენერჯის წყაროებისა და მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით;
- ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება;
- ენერჯის ტემპების მოქნილობისა და მედეგობის გაზრდა;
- კრიტიკული ენერჯოინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერუსაფრთხოებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება;
- ენერჯიაზე მოთხოვნის მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და ენერჯის განაწილების მდგრადი სისტემის შექმნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი ენერგეტიკული რისკების შერბილება და მინიმიზაცია.

მართალია, NECP არ მოიცავს ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივ სამიზნე მაჩვენებლებს 2030 წლისთვის, თუმცა განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს:

- საბოლოო ენერჯის მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წყაროების წილის გაზრდა (სამიზნე მაჩვენებელი 35% 2030 წლისთვის);
- პირველადი ენერჯის მოხმარების დაზოგვის მიღწევა (სამიზნე მაჩვენებელი, 15% ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენართან შედარებით, 2030 წელს);
- საქართველო სრულად იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის უპირობოდ შეზღუდოს ქვეყანაში სათბურის გაზის ემისიის მთლიანი მოცულობა 35%-ით 1990 წლის დონესთან

ევროკომისიამ სლოვაკეთის NECP-ის შეფასებისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ სლოვაკეთი თავის საბოლოო გეგმაში აცხადებს, რომ დივერსიფიკაცია და ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირება არის ძირითადი სფეროები, რომლებზეც ქვეყანამ უნდა იმუშაოს, მაგრამ არ განსაზღვრავს ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევის კონკრეტულ, ეროვნულ მიზნებს:

https://ec.europa.eu/energy/sites/default/files/documents/staff_working_document_assessment_necp_slovakia_en.pdf

	<p>შედარებით - ეკვივალენტურია მაქსიმუმ 27.2 მილიონი ტCO₂ ეკვ. -ის LULUCF სექტორის ჩათვლით;</p> <ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, საქართველო იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის, 1990 წლის დონესთან შედარებით, 50%-ით ან 57%-ით შეამციროს ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისია იმ შემთხვევაში, თუ სათბურის აირების გლობალური ემისიები გაჰყვება, შესაბამისად, 2°C და 1.5°C სცენარებს. 	
<p>6. ასახულია თუ არა ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩარჩო დირექტივები და რეგულაციები ეროვნულ კანონმდებლობაში?</p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებას ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოიტანოს შემდეგი დირექტივები:</p> <ul style="list-style-type: none"> 2006 წლის 18 იანვრის დირექტივა N 2005/89/EC ელექტროენერჯის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ. 2004 წლის 26 აპრილის დირექტივა N 2004/67/EC ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ. 2009 წლის 14 სექტემბრის დირექტივა 2009/119/EC წვერ ქვეყნებზე ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო საცავების უზრუნველყოფის ვალდებულების გავრცელების შესახებ. 2009/119 დირექტივის ტრანსპოზიციის ბოლო ვადაა 2023 წლის 1 იანვარი. 	<p>ევროკავშირში გაწვერიანების ხელშეკრულებით სლოვაკეთმა აიღო ყველა სამართლებრივი აქტის ტრანსპოზიციის ვალდებულება. ტრანსპოზიციის ხარისხი დამოკიდებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ფორმაზე. სლოვაკეთმა უკვე მოახდინა ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი აქტის ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში. სწორედ ევროპული კანონმდებლობის ტრანსპოზიცია არის ენერგეტიკის სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ხშირი ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ეს ეხება რეგულაციების მიღებასაც, რომელიც შეიძლება გამოსცეს სლოვაკეთის მთავრობამ (რეგულაციის სახით) ან ცალკეულმა სამინისტროებმა (დეკრეტის სახით), რაც, კანონებთან ერთად, ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.</p> <p><u>ძირითადი რეგულაციები/დირექტივები:</u></p> <p>ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 25 ოქტომბრის რეგულაცია (EU) 2017/1938 ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32017R1938</p> <p>ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 5 ივნისის დირექტივა (EU) 2019/944 ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32019L0944</p>

	<p>კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ უკვე ითვალისწინებს 2005/89 და 2004/67 დირექტივების მოთხოვნებს.</p>	
<p>7. აქვს თუ არა ქვეყანას საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემები, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სტრატეგია (ელექტროენერჯისა და გაზის სექტორებში), ენერგეტიკული რისკების მართვის გეგმები, ელექტროენერჯია/გაზი, სხვა ქვესექტორები?</p>	<p>როგორც წესი, ენერგოკომპანიებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკუთარი გეგმები აქვთ, თუმცა, ძირითად შემთხვევებში ეს გეგმები კონფიდენციალურია. საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და გაზის სექტორებში გადამცემი სისტემის ოპერატორები (TSO) ახლა მუშაობენ საგანგებო და რისკების მართვის გეგმებზე, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის მიხედვით (მუხლები 132, 140) MoESD-მ უნდა შეიმუშაოს ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის სექტორებში საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედების სტრატეგია. <u>სტრატეგია შეიმუშავების პროცესშია.</u> <u>ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესები</u> განსაზღვრავს ელექტროენერჯის კრიზისის რისკების შემცირების, აგრეთვე, ელექტროენერგეტიკის სექტორში კრიზისის პრევენციისა და მართვისთვის მომზადების წესებს, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების რისკების მართვის წესებს. წესები მოიცავს სამ დანართს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი 1 - „ელექტროენერჯის უსაფრთხოების რისკებისა და კრიზისული სცენარების გამოვლენისა და შეფასების მეთოდოლოგია“ • დანართი 2 – „სეზონური და მოკლევადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია“ 	<p>კანონი 251/2012 ენერგეტიკის შესახებ (ბოლო ცვლილება - 1 იანვარი, 2021): https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/251/ განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციების წესებსა და პროცედურებს (ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში), თუ ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ენერჯის მიწოდებას.</p> <p>არსებობს კონკრეტული გეგმები, რომლებიც ეხება ბუნებრივი გაზის მიწოდების შეფერხების პრევენციას - პრევენციული სამოქმედო გეგმა (ბუნებრივი გაზის მიწოდებისთვის) (ეკონომიკის სამინისტრო, 2017): https://www.mhsr.sk/uploads/files/PS41ZTp9.pdf</p> <p>ასევე, ბუნებრივი აირის მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით, თუ ეს მოხდება - საგანგებო გეგმა (ბუნებრივი გაზის მიწოდებისთვის) ეკონომიკის სამინისტრო: https://www.mhsr.sk/uploads/files/CFF8Tt6y.pdf</p>



წიგან მიქელაძის სახელობის ფონდი
 THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 3 - „საშუალო და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია“ (ენერგეტიკის კანონი, მუხლი 60 და 68) ელექტროენერჯის/ზუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესები ადგენს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის პროცედურებს რეგულარულ და საგანგებო პირობებში, გაუმართაობის, ფორსმაჟორული გარემოებების და ნებისმიერი სხვა დაბრკოლების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვისა და მიწოდების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. 	
<p>8. ანალიტიკური მეთოდები და დაგეგმვის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების შესაფასებლად, პრევენციისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვისთვის.</p>	<p>დონორების მხარდაჭერით, MoESD-მ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) შემუშავების პროცესში TIMES მოდელი გამოიყენა (bottom-up), რომელიც არის ენერგეტიკული სისტემის გრძელვადიანი დაგეგმვის მოდელი. TIMES¹ იყენებს წრფივ არითმეტიკულ პროგრამირებას და ენერგეტიკული სისტემის ოპტიმიზაციას ახდენს მინიმალური დანახარჯების მიხედვით. NEEAP, NREAP, NDC, CAP და LEDS დოკუმენტების შემუშავებაში გამოყენებული იყო MARKAL საქართველოს (MARKet ALlocation) მოდელი და LEAP (ენერჯის ალტერნატივების გრძელვადიანი დაგეგმვის სისტემა) მოდელი.</p>	<p>NECP/EP შემუშავებისას განსაზღვრული მიზნის მისაღწევად სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გამოიყენა სცენარი, რომელიც დაფუძნებულია არსებული პოლიტიკების/ღონისძიებების პროექციაზე მოდიფიცირებული პოლიტიკების/ღონისძიებების იდენტიფიცირების საპირისპიროდ. ენერგეტიკის სექტორში ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას უმეტესად ეს ანალიტიკური მიდგომა არის გამოყენებული. განახლებადი ენერჯის წყაროების გაზრდის სურვილი ეფუძნებოდა PRIMES-EUCO მოდელის სცენარს.</p> <p>სლოვაკეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტის განვითარების 2030 წლამდე სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას (ტრანსპორტის, მშენებლობისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2016 წლის დეკემბერი) სამინისტრომ გამოიყენა ტრანსპორტის სექტორის ანალიტიკური მოდელირება: https://www.mindop.sk/ministerstvo-1/doprava-3/strategia/strategicky-plan-rozvoja-dopravy-sr-do-roku-2030/strategicky-plan-rozvoja-dopravy-sr-do-roku-2030</p>

¹ [GitHub - etsap-TIMES/TIMES model: The Integrated MARKAL-EFOM System \(TIMES\) - a bottom-up optimization model for energy-environment systems](https://github.com/etsap/TIMES/TIMES_model)



წიგნაკ მინდოპას საზოგადოებრივი ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



		<p>გამოყენებული მოდელების აღწერა შეგიძლიათ იხილოთ მეთოდურ სახელმძღვანელოში ტრანსპორტის მოდელებისა და მოძრაობის პროგნოზების კომპილაციის შესახებ: https://www.mindop.sk/ministerstvo-1/doprava-3/dopravne-modelovanie</p> <p>მსოფლიო ბანკმა, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს დაკვეთით მუშაობდა სლოვაკეთის რესპუბლიკის დაბალემისიანი განვითარების 2030 წლამდე სტრატეგიაზე 2050 წლის ხედვით (გარემოს დაცვის სამინისტრო, 2020), გამოიყენა ორი ძირითადი ანალიტიკური მოდელი: Compact Primes (CPS) და ENVISAGE სლოვაკეთი (Slovak CGE) – გამოყენებული მოდელების აღწერა იხილეთ დოკუმენტის ბოლოს: https://www.minzp.sk/files/oblasti/politika-zmeny-klimy/ets/lts-sk-eng.pdf</p>
<p>9. აქვს თუ არა ქვეყანას კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგია/გეგმა ენერგეტიკის სექტორში?</p>	<p>საქართველოს არ აქვს შემუშავებული ენერგეტიკის სექტორისთვის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგია/გეგმა. თუმცა, UNFCCC-ის მეოთხე ეროვნულ შეტყობინების ფარგლებში შეფასდა ენერგეტიკის სექტორის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების სცენარების მიხედვით.</p>	<p><i>სლოვაკეთის რესპუბლიკის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგია</i> (გარემოს დაცვის სამინისტრო, 2018): https://www.minzp.sk/files/odbor-politiky-zmeny-klimy/strategia-adaptacie-sr-zmenu-klimy-aktualizacia.pdf (განახლებული) არ არის დაკავშირებული მხოლოდ ენერგეტიკულ სექტორთან.</p> <p>სტრატეგია ცდილობს კლიმატის ცვლილების სცენარები და შესაძლო შედეგები დააკავშიროს ადაპტაციის შემოთავაზებულ ღონისძიებებთან რაც შეიძლება ბევრ სფეროსა და სექტორში. კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის თვალსაზრისით, ძირითად სფეროებად და სექტორებად შემდეგი მიმართულებები განიხილება: გარემო და გეოლოგია, ნიადაგი, ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტი და წყლის მენეჯმენტი, დასახლების გარემო, მოსახლეობის ჯანმრთელობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტი, ტურისტული ინდუსტრია, ენერგეტიკა და ბიზნესის და რისკის მართვის სხვა სფეროები. იგი მოიცავს სპეციალურ ნაწილს, რომელიც ეხება სლოვაკეთის რესპუბლიკის ენერგეტიკის სექტორისთვის კლიმატის ცვლილების რისკების იდენტიფიკაციას და, ასევე, მათი გადაჭრის პოლიტიკას/ზომებს (გვ. 73-75).</p>



ფონან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



10. არსებობს თუ არა ენერგეტიკული კრიზისის სცენარები (შეიძლება იყოს კონფიდენციალური)?

როგორც NATO-ს ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი, საქართველო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს NATO -ს პროგრამაში „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“. თანამშრომლობის წამყვანი სფეროებია: მოწინავე ტექნოლოგიები, კონტრტერორიზმი და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება. პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა კვლევა კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ, როგორცაა ენურის ჰიდროელექტროსადგურის გეოპოლიტიკური საფრთხეების შეფასება და შავი ზღვისა და ბალკანეთის ქვეყნებში სცენარები „შავი გედი“. თუმცა, პოტენციური ენერგეტიკული კრიზისების და ენერგეტიკული რისკების სცენარების სისტემატური ანალიზი არ ტარდება.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის თანახმად (მუხლები 132, 140), MoESD-მ უნდა შეიმუშაოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში საგანგებო მდგომარეობისას მოქმედების სტრატეგია. უკვე შექმნილია არაფორმალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო უსაფრთხოების სცენარებზე მუშაობა (ამ დროისთვის მოიცავს მხოლოდ ელექტროენერჯის სექტორს). მსგავსი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება ბუნებრივი გაზის სექტორის უსაფრთხოების სცენარებთან დაკავშირებითაც.

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს **გაზის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგისა და ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშებს**:
<https://www.mhsr.sk/energetika/energeticka-politika/sprava-o-vysledkoch-monitorovania-bezpecnosti-dodavok>
 ეს ანგარიშები ქვეყნდება ენერგეტიკის შესახებ 251/2012 კანონის ფარგლებში, ასევე მოიცავს ენერგეტიკულ კრიზისებზე რეაგირების საკითხებს და ამ მიმართულებით გატარებულ ზომებს.
 საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის ეროვნული პროცედურები მოცემულია ენერგეტიკის შესახებ 251/2012 კანონსა და სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს **No416/2012** დეკრეტში, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკისა და გაზის სექტორებში საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელ პროცედურულ დეტალებს და სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დეკრეტში **No80/2019**, რომლითაც შედის ცვლილებები და დამატებები 416/2012 დეკრეტში (2019 წლის 1 აპრილიდან).
 ენერგეტიკის სექტორის შესაძლო რისკები მოცემულია რამდენიმე დოკუმენტში: **სლოვაკეთის რესპუბლიკის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგია** (სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო, 2018):
<https://www.minzp.sk/files/odbor-politiky-zmeny-klimy/strategia-adaptacie-sr-zmenu-klimy-aktualizacia.pdf>
სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების რისკების მართვის ეროვნული სტრატეგია (შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2015):
<https://rokovania.gov.sk/RVL/Material/12589/1>
პრევენციული სამოქმედო გეგმა (ბუნებრივი გაზის მიწოდებისთვის) (ეკონომიკის სამინისტრო, 2017): <https://www.mhsr.sk/uploads/files/PS41ZTp9.pdf>
საგანგებო სიტუაციების გეგმა (ბუნებრივი გაზის მიწოდებისთვის) (ეკონომიკის სამინისტრო, 2017): <https://www.mhsr.sk/uploads/files/CFF8Tt6y.pdf>
 ელექტრობა:
 სლოვაკეთის გადამცემი ქსელის ოპერატორს **Slovenská elektrizačná prenosová sústava (SEPS)** შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათთან გამკლავების ზომები. SEPS-ს აქვს ძირითადი გაუმართაობებისაგან თავდაცვის გეგმა, სიხშირისა და ძაბვის საგანგებო ცვლილებების ღონისძიებები, ასევე - სისტემის ადღგენის გეგმა ნებისმიერი სრული ან ნაწილობრივი გათიშვის შემთხვევაში. თუ



ელექტროენერჯის მიწოდების დროს სისტემაში მოხდება ცვლილება, რომელიც იწვევს უეცარ გადატვირთვას, ასეთი გადატვირთვის მოსახსნელად SEPS ააქტიურებს დამხმარე სერვისებს, ხელშეკრულებით შეთანხმებულ საგანგებო რეზერვებს, ცვლის ელექტროენერგეტიკული მოწყობილობების მიერთებას გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან:

<https://www.sepsas.sk/media/4362/priloha-0013-2020-e-pp.pdf>

ბუნებრივი გაზი:

მთავარი მონაწილე მხარეების როლები განსაზღვრულია **პრევენციული სამოქმედო გეგმით და საგანგებო სიტუაციების გეგმით** (სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, 2017 წ.). საგანგებო გეგმის მიხედვით, კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, კრიზისის მართვის გეგმას შემუშავებს და ახორციელებს ეკონომიკის სამინისტრო. კრიზისის მენეჯმენტის ჯგუფში შედიან სამინისტროს წარმომადგენლები, გაზის ინფრასტრუქტურის ოპერატორები (გადამცემი და გამანაწილებელი ქსელები, გაზსაცავი), ქსელური მრეწველობის მარეგულირებელი სამსახურის წარმომადგენლები და საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოწვეული იყვნენ სხვა წევრებიც, მაგალითად, ქსელის დაბალანსების საჭიროების შემთხვევაში - გადამცემი სისტემის ოპერატორები. კრიზისის მენეჯმენტის ჯგუფი იკრიბება ყოველდღიურად და კოორდინაციას უწევს ყველა სტრატეგიას და გადაწყვეტილებას ეროვნულ დონეზე, გაზის ინფრასტრუქტურის ოპერატორების მიერ მოწოდებული ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე. ჯგუფი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას და ინსტიტუტებს ეროვნულ ან ევროკავშირის დონეზე. საგანგებო სიტუაციების გეგმაში გამოყენებული მოდელი 2009 წელს მომხდარი რეალური კრიზისის მენეჯმენტს ეყრდნობა. კრიზისის მენეჯმენტის ჯგუფი ასევე ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას პროგრესის შესახებ მედიას (ანუ საზოგადოებასაც).

ბირთვული ენერჯია:

სლოვაკეთის რესპუბლიკის ბირთვული ენერჯის მარეგულირებელი ორგანო (NRA)

არის ცენტრალური სამთავრობო ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ბირთვული დანადგარების ბირთვულ უსაფრთხოებაზე, მათ შორის, რადიოაქტიური ნარჩენების მართვაზე, დახარჯული საწვავის მართვასა და საწვავის ციკლის სხვა ეტაპებზე, ბირთვულ მასალებზე, მათი შემოწმებისა და რეგისტრაციის ჩათვლით, ასევე ბირთვული დანადგარებისა და შესაბამისი

		<p>ლიცენზიის მფლობელის მიერ მოწოდებული ბირთვული მასალების ფიზიკურ დაცვაზე: https://www.ujd.gov.sk/ujd/www1.nsf/viewByKeyMenu/En-01 კანონი 541/2004 ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ და NRA-ს დკრეტი No. 55/2006 ინციდენტის ან უბედური შემთხვევის დროს საგანგებო დაგეგმვის დეტალებთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება ევროკავშირის No. 89/618 EURATOM დირექტივის ინფორმაციის საჯაროობისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით განსახორციელებელ დებულებებს და გადაუდებელი რადიოლოგიური სიტუაციის შემთხვევაში გადასადგმელ ნაბიჯებს, დეკრეტი ასევე შეესაბამება ევროკავშირის გადაწყვეტილებას No. 87/600 ექსტრორდინარული რადიოლოგიური მოვლენების დროს საზოგადოებასთან ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის ღონისძიებების დადგენის შესახებ. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა ნიშნავს ზომებისა და პროცედურების დადგენას ბირთვულ დანადგარებში ინციდენტებისა და ავარიების იდენტიფიცირებისა და გამკლავების მიზნით, აგრეთვე რადიოაქტიური მასალების, რადიოაქტიური ნარჩენების ან დახარჯული რადიოაქტიური საწვავის განკარგვის და რადიოაქტიური მასალების ტრანსპორტირების დროს რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გამოყოფით გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირებას, შერბილებას და აღმოფხვრას. სწორედ ზემოაღნიშნული დებულებები შედის საგანგებო გეგმებში.</p>
<p>11. ენერგეტიკული რისკის მართვის გეგმები (ელექტრობა/გაზი, სხვა ქვესექტორები)</p>	<p>იხ. ნაწილი 7</p>	<p>ელექტრობა: საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის ეროვნული პროცედურები მოცემულია ენერგეტიკის შესახებ No 251/2012 კანონში, სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს No 416/2012 და No 80/2019 დეკრეტებში, რომლებიც ადგენს ელექტროენერჯისა და გაზის სექტორებში საგანგებო სიტუაციების პროცედურის დეტალებს. ძირითადი დოკუმენტი არის გადამცემი სისტემის ოპერატორის (SEP) საოპერაციო წესები: https://www.sepsas.sk/en/documents/operational-rules/ (იხ. ზემოთ მოცემული ნაწილიც). ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების გეგმები და პროცედურები ეფუძნება 2019 წლის 5 ივნისის რეგულაციას (EU) 2019/941 ელექტროენერგეტიკის სექტორში</p>



ՀԵՅՏԻՑ ԲԻՃԱԿՆԻՍԻ ՆԱԽԱՐԱՅԻՆ ՎՈՒՅԵՐԻ
 THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



რისკისთვის მზადყოფნის შესახებ, რომელიც აუქმებს 2005/89/EC დირექტივას: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.158.01.0001.01.ENG, მოიცავს კომპეტენტური უწყების (სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო) პასუხისმგებლობას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად რისკებისათვის მზადყოფნის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით. გეგმის მიზანია კრიზისის მართვისა და პრევენციის ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფა.

ბუნებრივი გაზი:

ეროვნული მეორადი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს გაზის მიწოდების კონტროლის პირობებს და პროცედურებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, განსაზღვრულია სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს No416/2012 დეკრეტით: <https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2012/416/> (ასევე იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი).

რაც შეეხება გაზის მიწოდების უსაფრთხოებას, ბაზრის მონაწილეების ვალდებულებები მოცემულია ენერგეტიკის შესახებ **251/2012 კანონში**, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 25 ოქტომბრის **(EU) No 2017/1938** რეგულაციაში გაზომომარაგების უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ, რომელიც აუქმებს რეგულაციას (EU) No 994/2010: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/SK/ALL/?uri=CELEX:32017R1938>

სხვა შესაბამისი დოკუმენტებია **პრევენციული სამოქმედო გეგმა და საგანგებო სიტუაციების გეგმა** (იხ. აგრეთვე ზემოთ მოცემული ნაწილი). რეგულაციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მე-13 მუხლით გათვალისწინებული სოლიდარობის ზომების გამოყენების წინადადებით. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა მასალა, რომელიც მოიცავდა წინადადებებს ამ საკითხის გადასაჭრელად, განსაკუთრებით - კანონმდებლობის კუთხით. მასალა გადაეცა სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს და პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

საერთაშორისო დონორული პროექტების მიუხედავად, რომელთა მიზანია საქართველოში კარგი მმართველობის პრაქტიკის გაუმჯობესება, კვლავ პრობლემურია გარკვეული საკითხები და სექტორის გამჭვირვალობის ნაკლებობა. სტრატეგიული დოკუმენტები, ისეთები, როგორებიცაა, მაგალითად, ახალი გენერაციის ობიექტებიდან ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ (PPA) ხელშეკრულებები, გაზპრომთან ხელშეკრულება და სხვ. დახურული და კონფიდენციალურია. ასეთი გაუმჭვირვალობა იწვევს საზოგადოების უნდობლობას და წარმოშობს კორუფციის რისკებს. პრობლემური საკითხების წამოჭრაში მთავარ როლს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასრულებენ, თუმცა გამჭვირვალობის გაუმჯობესების ინსტიტუციური მექანიზმები არაეფექტიანია.

კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2019 წლის 26 ივლის სხდომაზე დამტკიცდა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია მოიცავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოწვევებისა და რისკების ანალიზსა და შეფასებას სხვადასხვა სფეროში და გვთავაზობს

კანონი 54/2019 ანტისოციალური საქმიანობების მამხილებლის დაცვის შესახებ (ძალაშია 2019 წლის 1 მარტიდან): <https://www.zakonypreludi.sk/zz/2019-54> კანონში შემოდის მამხილებლის დაცვის რამდენიმე ახალი ასპექტი, როგორებიცაა მამხილებლის დაცვისა და უფლებების გაფართოება სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და სპეციალური (ახალი) სამსახურის დაარსება, როგორიცაა *ანტისოციალურ ქმედებებზე შეტყობინების განმსახორციელებელ პირთა დაცვის სამსახური*.

<https://www.bojprotikorupcii.gov.sk/odbor/> კორუფციის საკითხებზე ასევე მუშაობენ: *ეროვნული კრიმინალური სააგენტო* (შინაგან საქმეთა სამინისტრო): <https://www.minv.sk/?NAKA> *სლოვაკეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა*: <https://www.genpro.gov.sk/> *არასამთავრობო ორგანიზაციები*, რომლებიც ეროვნულ დონეზე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე მუშაობენ და ასევე ეხმარებიან კორუფციის გამოვლენას.

საერთაშორისო გამჭვირვალობა სლოვაკეთი (1998 წლიდან): <https://transparency.sk/en/> *ფონდი შეაჩერე კორუფცია* (2014 წლიდან): <https://zastavmekorupciu.sk/en/home/> ზოგიერთ ენერგეტიკულ კომპანიას საკუთარი ანტიკორუფციული პროგრამა აქვს, მაგალითად, ნავთობკომპანია ტრანსპეტროლს: <https://www.transpetrol.cc/o-spolocnosti/protikorupcny-program-transpetrol> ან ეთიკის კოდექსი – ელექტროენერჯის TSO *SEPS*: https://www.sepsas.sk/media2/Dokumenty/EtickýKodex/2016/11/Etický_kodex_spolocnosti.pdf

მთავრობის ხარჯების ეფექტურობის მონიტორინგი: სლოვაკეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს განყოფილება *Value for Money* 2016 წლის ივნისში დაარსდა. მისი მთავარი მიზანია სამთავრობო ხარჯების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, საჯარო სერვისების გაუმჯობესება და სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდაცია: <https://www.mfsr.sk/en/finance/value-money/about-value-money/>

სლოვაკეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი აუდიტის სამსახური ყოველწლიურად ატარებს აუდიტებს მოცემული წლის გეგმის მიხედვით. მოცემული წლის გეგმა ეფუძნება სამწლიან გეგმას, სადაც დადგენილია სტრატეგიული მიზნები და



ՀԵՅՏԻՑ ԻՆՎԵՍՏԻԱՅԻՆ ՆԱԽԱՐԱՅՈՒՄՆԵՐ ՄՈՒՐԵՐ
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



	<p>ეფექტურ გზებს მათ გადასაჭრელად, 16 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით².</p>	<p>აუდიტის ამოცანები ამ პერიოდისთვის. აუდიტის სამსახური ასევე ვალდებულია ჩაატაროს აუდიტი სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მოთხოვნის შემთხვევაში. აუდიტის ანგარიშებს შორისაა ენერგოეფექტიანობა ან სუბსიდიები კლიმატისა და ენერგეტიკული პოლიტიკისთვის: https://www.nku.gov.sk/web/sao/audit-reports</p>
<p>13. კონკურენციის/ანტიმონოპოლიური რეგულაციები ენერგეტიკის სფეროში</p>	<p>საქართველო ენერგეტიკის სექტორი რეფორმის პროცესშია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც პირდაპირ არის დაკავშირებული ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციასთან. შეიქმნა ელექტროენერჯის ბირჟა და ბაზრის გახსნა იგეგმებოდა 2021 წლის ივლისში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯით ვაჭრობის სისტემა და ბაზრის მონაწილეები არ იყვნენ სრულად მზად ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობისთვის, ბაზრის გახსნა 6 თვით გადაიდო. 2022 წლიდან დღით ადრე და საბალანსო ბაზრები უნდა გაიხსნას. დიდი მომხმარებლები პირდაპირი მომხმარებლები გახდებიან და ელექტროენერჯით კონტრაქტების საფუძველზე უკვე 2021 წლიდან ივაჭრებენ. ამავდროულად, 2021 წლის ივლისში დასრულდება გამანაწილებელი კომპანიების განმხოლოების პროცესი, რაც კონკურენციის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი წინაპირობაა. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) არის ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ძირითადი მარეგულირებელი ორგანო. სემეკი ასევე არეგულირებს ბუნებრივ</p>	<p>სლოვაკეთის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური სამსახური არის ქვეყანაში კონკურენციის დაცვის მიზნით შექმნილი სახელმწიფო ადმინისტრაციის დამოუკიდებელი ცენტრალური ორგანო. ანტიმონოპოლიური სამსახური ჩართულია კარტელების, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების, ვერტიკალური შეთანხმებების საქმეებში; ის აკონტროლებს კომპანიების შერწყმას, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარი შეტყობინების კრიტერიუმებს; აფასებს სახელმწიფო და ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოების ქმედებებს, რომლებიც კონკურენციის შეზღუდვისკენ არის მიმართული და უზრუნველყოფს კონკურენციის დაცვას სახელმწიფო დახმარების სფეროში: https://www.antimon.gov.sk/antimonopoly-office-slovak-republic/</p>

² საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4674422?publication=0>



ფონან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFP
Slovak Foreign Policy Association



	<p>მონოპოლიებს, გადამცემი სისტემის ოპერატორსა (TSO) და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებს (DSO). ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენციას ამჟამად ზედამხედველობას უწევს საქართველოს კონკურენციის სააგენტო. ნავთობპროდუქტების სექტორი საქართველოში საკმაოდ დივერსიფიცირებულია, თუმცა სააგენტო აკონტროლებს და იკვლევს შესაძლო კარტელური გარიგებების არსებობას. ენერგეტიკის სექტორში კონკურენციის მონიტორინგთან დაკავშირებული ძირითადი მარეგულირებელი აქტებია: კანონი კონკურენციის შესახებ და სემეკის #28 დადგენილება ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ.</p>	
<p>14. ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხორციელება</p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში საქართველომ აიღო ევროკავშირის დირექტივების განხორციელების ვალდებულება, მათ შორის -ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული დირექტივების განხორციელება. ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა და ძალაში შევიდა კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ და კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ. ასევე შემუშავდა და ამოქმედდა კანონი ენერგეტიკული ეტიკეტების შესახებ. თუმცა, ენერგოეფექტიანობის კანონების სრულად ასამოქმედებლად საჭიროა მეორადი კანონმდებლობის შემუშავება.</p>	<p>ენერგოეფექტიანობის ეროვნული პოლიტიკა ძირითადად ევროკავშირის დირექტივებს ეყრდნობა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილიც არის დირექტივა ენერგოეფექტიანობის შესახებ (2012/27/EU): https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02012L0027-20210101 <u>სხვა მნიშვნელოვანი ევროდირექტივები:</u> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 19 მაისის დირექტივა 2010/31/EU შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02010L0031-20210101 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დირექტივა 2009/125/EC ენერგეტიკულ პროდუქტების ეკოდიზაინის მოთხოვნების შესახებ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02009L0125-20121204</p>



ენერგოეფექტურობის განვითარების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის შემუშავებაში მთავრობას დონორები ეხმარებიან. KfW-მ დააფინანსა საქართველოში ენერგოეფექტურობის რეფორმების მხარდამჭერი მორიგო პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეივსება ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის არსებული ხარვეზები და შემუშავდება საჭირო კანონქვემდებარე აქტები. თუმცა, შესაბამისი მეორადი კანონმდებლობის შემუშავების გარდა, საჭიროა ბაზრის მონაწილეების (დეველოპერები, ენერგოაუდიტორები, ინდუსტრია და ა.შ.) შესაძლებლობების გაზრდა და ძლიერი საკომუნიკაციო კამპანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული და მინიმუმამდე დავიდეს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების დანერგვის საწინააღმდეგოდ გარკვეული ჯგუფების ლობირება.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის **რეგულაცია (EU) 2017/1369** ენერგეტიკული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ, რომელიც აუქმებს 2010/30/EU დირექტივას: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017R1369> **ეროვნული კანონმდებლობა:**

იხ. ნაწილი 3) ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი კანონები და კანონქვემდებარე აქტები (სხვა შესაბამისი კანონები).

2014 წლის დეკემბერში სლოვაკეთმა მიიღო **კანონი 321/2014 ენერგოეფექტურობის შესახებ** (ბოლო ცვლილება 2021 წლის 1 იანვარი):

<https://www.zakonypreludi.sk/zz/2014-321>, რომელიც ადგენს ქვეყანაში

ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზას. 2011 წელს ასევე დაინერგა სავალდებულო ენერგეტიკული აუდიტები საწარმოებისთვის და სოფლის მეურნეობის სექტორში, როგორც ენერჯის დაზოგვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ალტერნატიული პოლიტიკის ღონისძიება.

ენერგოეფექტიანობაზე პასუხისმგებელია სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, რომლის გარკვეული უფლებამოსილება დელეგირებული აქვს **სლოვაკეთის ინოვაციებისა და ენერგეტიკის სააგენტოს (SIEA)** - სამინისტროს მიერ დაარსებულ საბიუჯეტო ორგანიზაციას.

SIEA უზრუნველყოფს ენერგოაუდიტებს, აძლევს რჩევებს მოსახლეობას და მუნიციპალიტეტებს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისა და ენერგეტიკული სერვისების შესახებ, მონიტორინგს უწევს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს და აახლებს სითბური განაწილების რუკას: <https://www.siea.sk/en/>

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს **31/2014 დეკრეტის** საფუძველზე SIEA მართავს (2014 წლიდან) **ენერგოეფექტურობის მონიტორინგის სისტემას**. სისტემა მონიტორინგს უწევს პირველადი და საბოლოო ენერჯის მოხმარებას სხვადასხვა სექტორში და აფასებს ენერგოეფექტურობის კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებას სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისად:

<https://www.siea.sk/monitorovaci-system/>

ენერგოეფექტურობის დირექტივის ფარგლებში (2012/27/EU) ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია სამ წელიწადში ერთხელ წარადგინოს **ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა**. გეგმა უნდა მოიცავდეს ენერჯის მოხმარების შეფასებას, დაგეგმილ ღონისძიებებს ენერგოეფექტურობის კუთხით, მათ სავარაუდო შედეგებს, ინფორმაციას ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლების შესახებ და ამ

		<p>მაჩვენებლების მისაღწევად შემუშავებულ პოლიტიკის ღონისძიებებს. 2017 წელს სლოვაკეთმა წარმოადგინა თავისი რიგით მეოთხე ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2019 წლებისათვის, 2020 წლის ხედვით (ეკონომიკის სამინისტრო, 2017): https://rokovania.gov.sk/RVL/Resolution/16825</p> <p>ევროკავშირის წევრი ქვეყნები ასევე აქვეყნებენ ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ყოველწლიური პროგრესის ანგარიშებს და განახლებენ სამიზნე მაჩვენებლებს ბოლო ინფორმაციისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად. ახლახან გამოქვეყნდა ენერგოეფექტურობის 2019 წლის ანგარიში (შეიმუშავა ეკონომიკის სამინისტრომ 2019 წელს, 2018 წლის მონაცემების საფუძველზე): https://www.siea.sk/wp-content/uploads/monitorovaci_system/monitorovacie_spravy/Sprava_efektivnost_2019.pdf</p> <p>სლოვაკეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და მშენებლობის სამინისტრო არის პასუხისმგებელი შენობების ენერგოეფექტურობაზე, აღასრულებს კანონს 555/2005 შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ, მოიცავს შენობების სერტიფიცირებას: https://www.mindop.sk/ministerstvo-1/vystavba-5/stavebnictvo/energeticka-hospodarnost-budov/zakony-vyhlasaky-metodicke-usmernenia</p> <p>სლოვაკეთის ტრანსპორტისა და მშენებლობის სამინისტრო საბინაო სექტორის განვითარების ფონდის მეშვეობით ასევე ახორციელებს სახლებისა და ბინების განახლების სუბსიდირებას (1996 წლიდან): https://www.sfrb.sk/</p> <p>სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო რეგულარულად აახლებს გარანტირებული ენერგეტიკული სერვისების მიმწოდებლების სიებს, ასევე კვალიფიციურ პირთა სიას, რომლებიც გარანტირებულ ენერგეტიკულ მომსახურებას ეწევიან. აღნიშნულ სიაში ჩართვის მეთოდისა მოცემულია სამინისტროს №99/2015 დეკრეტში მხარდაჭერისა და გარანტირებული ენერგეტიკული მომსახურების მიმწოდებლების შესახებ: https://www.mhsr.sk/energetika/energeticka-efektivnost/poskytovanie-energetickej-sluzby</p>
<p>15. განახლებადი ენერჯის კანონმდებლობა</p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში საქართველომ აიღო განახლებადი ენერჯისთან დაკავშირებული დირექტივების განხორციელების ვალდებულება. განახლებადი ენერჯის დირექტივის შესაბამისად შემუშავდა და ამოქმედდა კანონი განახლებადი წყაროებიდან</p>	<p>ეროვნული კანონმდებლობა: კანონი 309/2009 განახლებადი ენერჯის წყაროებისა და მაღალი ეფექტურობის კოგენერაციის მხარდაჭერის შესახებ (ბოლო ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 1 იანვარს): https://www.slov-lex.sk/pravne-predpisy/SK/ZZ/2009/309/20180201</p> <p>განახლებადი ენერჯის პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელია სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო. სამინისტრო აანალიზებს განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყაროს კანონისა და სტრატეგიული გეგმების</p>



ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ. გარდა ამისა, შემუშავდა განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმდინარე წელს განახლდება. კანონმდებლობის გარდა, სემეკის ინიციატივით შეიქმნა ნეტო-ალრიცხვის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს მიკროსიმძლავრის (100 კვტ.) შესაძლებლობას აძლევს, რომ მზის პანელებით გამოიმუშავებული დამატებითი ელექტროენერჯია ქსელს მიაწოდონ და გაყიდონ. ამავდროულად, ეროვნულ სატყეო სააგენტოს, რომელიც ტყის რესურსების მართვაზე არის პასუხისმგებელი, ცვლილებები შეაქვს სატყეო კოდექსში ტყის რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ეს ეხება ძირითადად გასათბობად გამოყენებულ ბიომასას/შემას.

შემუშავების მიზნით, ერთ-ერთი ასეთი გეგმა არის **განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა** (ეკონომიკის სამინისტრო, 2010): <https://www.mhsr.sk/uploads/files/W58vMbYo.pdf>

სლოვაკეთის გარემოს დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია შიდა მდგრადობის კრიტერიუმების შემუშავებასა და განხორციელებაზე. სლოვაკეთის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო თანამშრომლობს ეკონომიკის სამინისტროსთან ბიომასისა და ბიოსაწვავის გამოყენების კრიტერიუმებისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით: სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტროს დეკრეტი **No295/2011** ბიომასის მწარმოებლისა და მიმწოდებლის ბიოსაწვავისა და ბიოსითხის წარმოების დეტალური დეკლარაციის განსაზღვრის შესახებ: <https://www.zakonypreludi.sk/zz/2011-295>

ქსელური მრეწველობის მარეგულირებელი ოფისი ადგენს ფიდ-ინ ტარიფის განაკვეთებს, გასცემს წარმოშობის სერტიფიკატებს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერჯისთვის და ლიცენზიებს - ბიზნესოპერაციებისთვის: <http://www.urso.gov.sk/?q=Information%20service/International%20cooperation%20-%20Licenses&language=en>

2009 წელს შემოღებულ იქნა ფიდ-ინ ტარიფები, რომლითაც გარანტირებულია ფიქსირებული ფასი ექსპლუატაციაში გაშვებიდან ან რემონტიდან 15 წლის განმავლობაში.

2013 წელს **კანონში 309/2009** შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც PV სისტემაზე სუბსიდია გაიცემა მხოლოდ სახურავზე დასამონტაჟებელი ინსტალაციების შემთხვევაში, რომლის სიმძლავრეც არ აღემატება 30 კვტ.-ს. 2014 წლიდან კი გამანაწილებელმა კომპანიებმა გადაწყვიტეს აღარ მიეღოთ ახალი სიმძლავრეები, რამაც საკმაოდ შეზღუდა განახლებადი ენერჯის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვნად შემცირდა სუბსიდიები ჰიდროენერჯისთვისაც. 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, შემოვიდა „ადგილობრივი წყაროს“ ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს გამანაწილებელ სისტემას, მაგრამ არა უმეტეს 500 კვტ. სიმძლავრისა. 2020 წელს ეკონომიკის სამინისტრომ გააუქმა დაგეგმილი მწვანე აუქციონები.

		<p>სლოვაკეთის ინოვაციისა და ენერგეტიკის სააგენტო პროგრამის მწვანე ოჯახებისთვის ფარგლებში სუბსიდიას უწევს მცირე მოცულობის განახლებადი ენერჯის შესყიდვას (ბიომასა, მზე, თბური ტუმბოები): https://zelenadomacnostiam.sk/sk/</p> <p>პირველ პერიოდში (2015-2018 წწ.) – გამოიყო 45 მლნ ევრო, ჯამში, 18 501 ინსტალაცია დამონტაჟდა, ამჟამად მიმდინარებს სუბსიდირების მეორე ეტაპი (2019-2023 წ.) – გამოყოფილია 48 მლნ ევრო 25 000 ინსტალაციის მხარდასაჭერად – სულ უნდა დამონტაჟდეს 140 მეგავატი განახლებადი ენერჯია.</p>
<p>16. რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციების წევრობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები.</p>	<p>1991 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის ენერგეტიკულ ქარტიას, მოგვიანებით კი, 1995 წელს, მოახდინა ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმების რატიფიცირება³. 2015 წელს საქართველომ ხელი მოაწერა საერთაშორისო ენერგეტიკულ ქარტიას, რომელიც მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის გაძლიერებას ენერგეტიკის სფეროში, თანაბარი პირობების შექმნას ყველა მონაწილე ქვეყნისთვის და ამით ენერგეტიკულ ინვესტიციებთან და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.⁴</p> <p>2014 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს. 2017 წელს საქართველო გახდა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი და როგორც ენერგეტიკული გაერთიანების</p>	<p>ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (მთავრობის 2007 წლის 20 ივნისის 528/2007 დადგენილების საფუძველზე): https://www.iea.org/countries/slovak-republic</p> <p>საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტია (მთავრობის 1190/1994 რეზოლუციის საფუძველზე და რატიფიცირებულია 1995 წელს): https://www.energycharter.org/ENTSO-E (ელექტროენერჯის გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი): https://www.entsoe.eu/</p> <p>ENTSO-G (გაზის გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი): https://www.entsog.eu/</p> <p>ბირთვული ენერჯია:</p> <p>სლოვაკეთი არის ბირთვული ენერჯიასთან დაკავშირებული რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მათ მონიტორინგს უწევს სლოვაკეთის ბირთვული მარეგულირებელი ორგანო, ბირთვული რეგულირების ცენტრალური ორგანო, რომელიც ამოქმედდა 1993 წლის 1 იანვრიდან კანონის 2/1993 მთავრობის საქმიანობის ორგანიზებისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზების შესახებ საფუძველზე: https://www.ujd.gov.sk/ujd/www1.nsf/\$All/BEBF4732B581600AC1257CB300483FCD</p> <p>ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო 1993 წლიდან: https://www.iaea.org/</p> <p>ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია/ბირთვული ენერჯის სააგენტო 2002 წლიდან: https://www.oecd-nea.org/</p>

³ <https://www.energycharter.org/who-we-are/members-observers/countries/georgia/>

⁴ <https://www.energycharter.org/process/overview/>



ხელშეკრულების მხარე, საქართველო იღებს ვალდებულებას განახორციელოს მოქმედი ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობა⁵. 2000 წელს საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი. WTO-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა ენერგეტიკა, ენერგორესურსებით ვაჭრობისა და მომსახურების რეგულირება და სავაჭრო დავების გადაწყვეტა.⁶

2009 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას. ქარტია ხაზს უსვამს ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას. ქარტიის პრიორიტეტებს შორისაა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განვითარება, განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა⁷.

2019 წელს საქართველომ და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. შეერთებულ შტატებთან ხელმოწერილი ქარტიის მსგავსად, შეთანხმების ძირითადი პრიორიტეტებია ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების ხელშეწყობა, ენერგოსატრანზიტო პროექტების განვითარება საქართველოში და განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა⁸.

ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება.
2015 წელის 15 ნოემბერს ხელი მოეწერა მთავრობასა და ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებელ კომისიას შორის შეთანხმებას ტრენინგებსა და სავსე შემოწმებებთან დაკავშირებულ აქტივობებში თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 12 აგვისტოდან: <https://www.ctbto.org/>

WWER ტიპის ატომური ელექტროსადგურის მქონე ქვეყნების ბირთვული უსაფრთხოების ზედამხედველობის ეროვნული მარეგულირებლების ფორუმი 1993 წლიდან: <https://gnssn.iaea.org/regnet/Pages/WWER-Forum.aspx>

⁵ <https://energy-community.org/news/Energy-Community-News/2021/04/09.html>

⁶ https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm

⁷ <https://georgiaembassyusa.org/wp-content/uploads/2017/08/STRATEGIC-PARTNERSHIP.pdf>

⁸ <https://www.gov.uk/government/publications/ukgeorgia-strategic-partnership-and-cooperation-agreement-cs-georgia-no12019>

	<p>1996 წლიდან საქართველო არის ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) წევრი. 2020 წლის ნოემბერში საქართველომ ხელი მოაწერა ქვეყნის ჩარჩო-პროგრამას (CPF) 2020-2025 წლების პერიოდისთვის. CPF-ის ორი პრიორიტეტული მიმართულებაა: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველყოფა; განახლებადი ენერჯის გამოყენების ეროვნული პოტენციალის შეფასება⁹.</p>	
<p>17. არსებობს თუ არა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზღვევის პოლიტიკა?</p>	<p>არსებობენ კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას აზღვევენ. მაგალითად, თიბისი დაზღვევა (ადგილობრივი სადაზღვევო კომპანია) მომხმარებელს სთავაზობს სადაზღვევო პოლისს, რომელიც მოიცავს დანადგარების (იმ შემთხვევაში, თუ დანადგარზე არ ვრცელდება ქარხნული გარანტია), შენობებისა და ბიზნესის მუშაობის შეფერხების დაზღვევას. ადგილობრივ კომპანიებს მსხვილი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიები უჭერენ მხარს, მაგალითად, თიბისი დაზღვევის შემთხვევაში – ვენის სადაზღვევო ჯგუფი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზღვევის სავალდებულო წესებისა და მარეგულირებელი ბაზის არარსებობის გამო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სადაზღვევო ბაზარი მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას. დაზღვევას ძირითადად იყენებენ ჰესები (უმეტესწილად კერძო), სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზღვევა კი, როგორცაა გადამცემი ხაზები, არ ხდება.</p>	<p>დაზღვევა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიებში დაზღვევა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო შესყიდვების წესებს: კანონი 98/1991 კომერციულ კოდექსთან დაკავშირებით (ბოლო ცვლილება – 1 ოქტომბერი, 2020). კანონი 343/2015 საჯარო შესყიდვების შესახებ (ბოლო ცვლილება – 19 იანვარი, 2021) კანონი 39/2015 დაზღვევის შესახებ (ბოლო ცვლილება – 28 ნოემბერი, 2020): https://www.zakonypreludi.sk/zz/2015-39 ფარავს ბირთვული ენერჯით მიყენებულ ზარალს, კანონი 54/2015 ბირთვული ზიანისა და მისი ფინანსური ანაზღაურების სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ (ბოლო ცვლილება – 1 იანვარი, 2016): https://www.zakonypreludi.sk/zz/2015-54 კანონი 251/2012 ენერგეტიკის შესახებ ან კანონი 45/20021 კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზღვევას არ ითვალისწინებს.</p>

⁹ <https://www.iaea.org/newscenter/news/georgia-signs-country-programme-framework-cpf-for-2020-2025DSO>



ინსტიტუციური ჩარჩო

18. ეროვნულ დონეზე ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყება ან ორგანო. ჰყავს თუ არა მას საკმარისი მუდმივი ანალიტიკური პერსონალი?

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი უწყება. სამინისტრო პასუხისმგებელია ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებაზე, განხორციელებასა და მონიტორინგზე; თავისი კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო გარემოს გაძლიერებაზე; ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის (მათ შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების) დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით, 2019 წელს შეიქმნა პრემიერ-მინისტრთან არსებული **ეროვნული უშიშროების საბჭო**. საბჭო სამინისტროსთან თანამშრომლობით აანალიზებს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შემდგომი ასახვის მიზნით.

ენერგეტიკული უსაფრთხოების დღის წესრიგს ძირითადად სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო განსაზღვრავს. სამინისტროს სტრუქტურის მიხედვით, ენერგეტიკა მეორე სახელმწიფო მდივნის პასუხისმგებლობაა. ენერგეტიკის მიმართულეა იყოფა სამ ქვეგანყოფილებადა: ენერგეტიკისა და ნედლეულის პოლიტიკის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და საწვავის და ენერგეტიკის დეპარტამენტი:

<https://www.mhsr.sk/uploads/files/UNpdwyod.pdf>

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემევი) არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების საქმიანობას. კომისია გასცემს ლიცენზიებს და ადგენს ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის წარმოების, ტრანსპორტირებისა და მიწოდების ტარიფებს. მარეგულირებელი ამტკიცებს ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს, რომ ტარიფები და მოსაკრებლები იყოს გონივრული, შემოწმებადი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე, რომ მომხმარებლები დაცული იყვნენ მონოპოლიური ფასებისგან.

ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი (TSO) - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) პასუხისმგებელია ელექტროენერჯის გადამცემის სისტემის ექსპლუატაციაზე, მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე, აგრეთვე, მეზობელ გადამცემ სისტემებთან კავშირზე.

გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორი - საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია (GGTC) უზრუნველყოფს სისტემის მომხმარებლების არადისკრიმინაციულ და შეუზღუდავ წვდომას ბუნებრივი აირის გადამცემ სისტემაზე.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში არის ელექტროენერჯის გამანაწილებელი 2 კომპანია (DSO) და 26 გაზგამანაწილებელი კომპანია.

სლოვაკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ადმინისტრირების სამსახური, რომელიც ჩამოყალიბდა 372/2012 კანონის საფუძველზე, პასუხისმგებელია მატერიალური მარაგების მართვაზე, მათ შორის – ნავთობის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის მზადყოფნაზე: <https://www.reserves.gov.sk/index.php/en/introduction/>

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტიტუტი არის გარემოს დაცვის სამინისტროს ანალიტიკური განყოფილება, რომელიც სლოვაკეთის მთავრობასა და საზოგადოებას აწვდის გარემოსდაცვით ანალიზს და პროგნოზებს: <https://www.minzp.sk/en/iep/JAVYS> (შექმნა 2006 წელს, ერთადერთი აქციონერი არის სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო) პასუხისმგებელია ბირთვული ობიექტების ექსპლუატაციაზე, მართვასა და გაუქმებაზე, რადიოაქტიური ნარჩენების მენეჯმენტზე, მასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო საქმიანობაზე, დახარჯული ბირთვული საწვავის მენეჯმენტსა და მასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო საქმიანობაზე: <https://www.javys.sk/en/index.php>

MH მენეჯმენტი (ერთადერთი აქციონერი არის სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო) დაარსდა **375/2015 კანონის** საფუძველზე რომლითაც გაუქმდა ქონების ეროვნული ფონდი. MH მენეჯმენტი, სხვა ობიექტებთან ერთად, მართავს ცენტრალური გათბობის 6 მთავარ კომპანიას: <http://www.mhmanazment.sk/vyrocnne-spravy/>

ეროვნული ბირთვული ფონდი (სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში, შექმნილია **238/2006 კანონის** საფუძველზე და რეგულირდება **308/2018** კანონით) აფინანსებს დახარჯული ბირთვული საწვავის და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნულ პროგრამასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, აკუმულირებას უწევს და განკარგავს ატომური საწვავის მართვის ციკლისთვის გამოყოფილ ფინანსური რესურსებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური რესურსების მოძიებას უცნობი წარმოშობის რადიოაქტიური და ბირთვული მასალების მართვისთვის და განკარგავს მაღალი აქტივობის დალუქული გამოსხივების წყაროებისთვის გამოყოფილ ფინანსურ გარანტიებს: <https://www.njf.sk/en/>

ეროვნული უსაფრთხოების ორგანო არის საიდუმლო ინფორმაციის, კრიპტოგრაფიული სერვისების, ნდობის სერვისების და კიბერუსაფრთხოების



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC), როგორც საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის მფლობელი, დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. GOGC ხელს უწყობს ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო ტრანსპორტის სისტემების შეუფერხებელ მუშაობას საქართველოს ტერიტორიაზე, რაც, დივერსიფიკაციის გზით, მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს, ევროკავშირის და საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრების უსაფრთხოებას. GOGC განკარგავს სატრანზიტო შემოსავლებს. ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, GOGC მხარს უჭერს ახალი სატრანზიტო მარშრუტების განვითარებაში კასპიისა და შავი ზღვის აუზების ენერგეტიკული პოტენციალის სრულად გამოყენებას და საქართველოს შემდგომ ინტეგრაციისას რეგიონულ/გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში.

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო (SAOG) პასუხისმგებელია საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის გადამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – ახორციელებს კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას კინეტიკური საფრთხეებისგან.

დაცვის ცენტრალური სამთავრობო ორგანო 2001 წლიდან:

<https://www.nbu.gov.sk/en/index.html>

სლოვაკეთის რესპუბლიკის ბირთვული მარეგულირებელი ორგანო არის ცენტრალური სამთავრობო ორგანო ბირთვული რეგულირებისთვის, რომელიც შეიქმნა **კანონით 2/1993** მთავრობის საქმიანობის ორგანიზებისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზების შესახებ. ის ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ბირთვული დანადგარების ბირთვულ უსაფრთხოებაზე: <https://www.ujd.gov.sk/ujd/www1.nsf/viewByKeyMenu/En-01>

ქსელური მრეწველობის მარეგულირებელი ოფისი, რომელიც შეიქმნა 2001 წელს, არის ქსელური ინდუსტრიების ეროვნული მარეგულირებელი ორგანო – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ცენტრალური გათბობის, ელექტროენერჯის, გაზისა და წყალმომარაგების დარგში. ოფისი გასცემს ლიცენზიებს ცენტრალური გათბობისა და ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილებისთვის და არეგულირებს ფასებს თითოეული მიმწოდებლისა და ქსელისთვის **კანონი 250/2012** **ქსელური მრეწველობის რეგულირების შესახებ** საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელია, თავმჯდომარეს მთავრობა ასახელებს:

<http://www.urso.gov.sk/?language=en>

სლოვაკეთის ინოვაციებისა და ენერგეტიკის სააგენტო არის კონტრიბუტორი ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულია სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტროს მიერ: <https://www.siea.sk/>

სლოვაკეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭო არის მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც მონაწილეობს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის შექმნასა და მუშაობაში, უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში, აფასებს უსაფრთხოების ვითარებას სლოვაკეთსა და მსოფლიოში; მთავრობისათვის ამზადებს წინადადებებს სლოვაკეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და კრიზისული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ, ასევე ამზადებს წინადადებებს კრიზისული სიტუაციის გადასაჭრელად.

საბჭო დაარსდა **ომის, საომარი მდგომარეობის და საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის შესახებ 227/2002 კანონის საფუძველზე**:

<https://www.vlada.gov.sk/bezpecnostna-rada-sr/>

20. ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების სექტორთაშორისი და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმი

ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესების შესაბამისად შეიქმნა **ენერგეტიკული უსაფრთხოების უწყებათაშორისი ჯგუფი** (ეუუჯ), რომელიც ასრულებს ენერგოუსაფრთხოების საკითხებში უწყებათაშორისი კოორდინაციის ორგანოს ფუნქციას. მის სხდომებს საჭიროებისამებრ იწვევს სამინისტრო. ეუუჯ დაკომპლექტებულია სამინისტროს, კომისიის, გადამცემი სისტემის ოპერატორის (TSO), გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების, მწარმოებლების და ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების სფეროში სხვა იმ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან, რომლებსაც სამინისტრო მიიჩნევს რელევანტურად. ამ წესების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გადამცემი სისტემის ოპერატორთან, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, აფასებს ელექტროენერჯის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის რისკს, წინასწარ დადგენილი პირობებით. ელექტროენერჯის უსაფრთხოების რისკებისა და კრიზისული სცენარების გათვალისწინებით, სამინისტრო, ეუუჯ-თან თანამშრომლობით, შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმას. გეგმის პროექტს, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს TSO-ს შესაბამისი განყოფილება, განაწილების ლიცენზიანტებთან კონსულტაციით და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

არ არსებობს მსგავსი მექანიზმი. ენერგეტიკული უსაფრთხოება სლოვაკეთის რესპუბლიკის **ეკონომიკის სამინისტროს** პრეროგატივაა, რომელიც შეიმუშავებს და მონიტორინგს უწევს სტრატეგიებს, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიების კოორდინაციას. ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურის მიხედვით, ენერგეტიკა მეორე სახელმწიფო მდივნის პასუხისმგებლობაა. ენერგეტიკის მიმართულება იყოფა სამ ქვეგანყოფილებად: ენერგეტიკისა და ნედლეულის პოლიტიკის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და საწვავისა და ენერგეტიკის დეპარტამენტი: <https://www.mhsr.sk/uploads/files/UNpdwyod.pdf>



ՀԵՏՅԱԿ ԹԻՎԱԿԱՆՈՒՄԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄԻ ՄՈՒԿԵՐԸ
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების

დოკუმენტის მიხედვით, „საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები და სხვა განახლებადი რესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო საშუალებას იძლევა, ქვეყანა სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად იქცეს“. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ განაგრძოს საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების მხარდაჭერა უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარებით და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს პირდაპირი სახმელეთო კავშირი ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებთან და არ აქვს წვდომა ევროპის შიდა ენერგეტიკულ ბაზარზე, ურთიერთდახმარების მექანიზმის გამოსაყენებლად მან უნდა დაამყაროს პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირი ევროკავშირთან და ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებთან რეგიონული სატრანზიტო პროექტების მეშვეობით (მაგალითად, შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი, LNG სვაპი).

სლოვაკეთი უმეტესად თანამშრომლობს ჩეხეთთან, უნგრეთსა და პოლონეთთან, ე.წ. ვიშეგრადის ჯგუფთან. **V4 თავმჯდომარის** როტაცია ხდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ. მათი შეხვედრები არ არის ინსტიტუციონალიზებული და მათი დასკვნები არ არის სავალდებულო ხასიათისა. ეს არის დისკუსიის პლატფორმა, თუმცა ენერგეტიკული უსაფრთხოება მუდმივად არის დღის წესრიგში, განსაკუთრებით, 2009 წლის კრიზისის შემდეგ: <https://www.visegradgroup.eu/documents/presidency-programs>

საერთო ინტერესის პროექტები იყო მთავარი ინსტრუმენტი ვიშეგრადის ქვეყნებისთვის, რომ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი პრიორიტეტები ელექტროენერჯის, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ტრანსსასაზღვრო ურთიერთკავშირების გასაძლიერებლად: https://ec.europa.eu/energy/topics/infrastructure/projects-common-interest_en

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი 143), სამინისტრო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, 31 ივლისამდე, აქვეყნებს ქვეყანაში ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ერთიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს სამინისტროს, კომისიის და შესაბამის შემთხვევებში სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. ანგარიშში უნდა აისახოს ელექტროენერჯის/გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზედამხედველობის შედეგები და მიღებული ან მისაღები ზომები. სამინისტროს მომზადებული ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

2021 წლის მარტში სამინისტრომ გამოაქვეყნა [მიწოდების უსაფრთხოების ანგარიში ელექტროენერგეტიკულ სექტორში - 2021](#). გაზის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის პირველი ანგარიშის გამოქვეყნების ბოლო ვადაა 2022 წლის 31 მარტი (ენერგეტიკის კანონის 143-ე მუხლი).

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშს ელექტროენერგეტიკულ სექტორში და მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშს – ბუნებრივი გაზის სექტორში. <https://www.mhsr.sk/energetika/energeticka-politika/sprava-o-vysledkoch-monitorovania-bezpecnosti-dodavok>

აღნიშნული ანგარიშები შემუშავებულია ენერგეტიკის შესახებ **251/2012 კანონის** მიხედვით. გაზის სექტორში ანგარიშებს ამზადებს სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო, გაზის ბაზრის მონაწილეების (eustream, SPP-d, ადგილობრივი განაწილების სისტემის ოპერატორები, მიწისქვეშა საცავის ოპერატორები, გაზის მიწოდებლები) მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. დოკუმენტები სამინისტროს მიეწოდება სახელმწიფო მართვისთვის საჭირო ინფორმაციის ტიპისა და მიწოდების წესის შესახებ **193/2014** დეკრეტის საფუძველზე <https://www.epi.sk/zz/2014-193>

გაზის ანგარიშები გაიცემა პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის **2009/73/EC** დირექტივის შესაბამისად – შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ, ასევე პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 25 ოქტომბრის რეგულაციის (**EU**) **2017/1938** დებულებების შესაბამისად – გაზის მიწოდების უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ.

ელექტროენერჯისა და დაკავშირებული ანგარიშები მომზადებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს **№2009/72/EC** დირექტივის შესაბამისად – ელექტროენერჯის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 5 ივნისის **№2019/941 რეგულაციის** შესაბამისად – ელექტროენერგეტიკის სექტორში რისკისადმი მზადყოფნის შესახებ. ეროვნული გადაცემის სისტემის ოპერატორი, **SEPS**,

ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების ანგარიშის მომზადების მიზნით სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე წარუდგენს წინადადებებს ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის შესახებ 5 წლის განმავლობაში და ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების პერსპექტივების შესახებ 5-იდან 15 წლამდე პერიოდისთვის.

<p>23. როგორ ხდება ენერგეტიკული უსაფრთხოების მოწყვლადობისა და რისკების შეფასება?</p>	<p><u>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ (2020)</u> დანართებთან ერთად წარმოადგენს ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების ყოვლისმომცველი შეფასების სახელმძღვანელოს.</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი 1 – „ელექტროენერჯის უსაფრთხოების რისკებისა და კრიზისული სცენარების გამოვლენისა და შეფასების მეთოდოლოგია“ • დანართი 2 – „სეზონური და მოკლევადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია“ • დანართი 3 – „საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია“ <p>გაზის მიწოდების უსაფრთხოების წესები შემუშავების პროცესშია.</p>	<p>იხ. წინა სექცია</p>
<p>24. ვინ არის პასუხისმგებელი ენერგეტიკული ბალანსის შედგენასა და გამოქვეყნებაზე? ბალანსის გამოქვეყნების სიხშირე და დროითი დაყოფნება</p>	<p>სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ეროვნულ ენერგეტიკულ ბალანსს (geostat.ge). მანამდე, 2002-2012 წლებში, ერთიანი ეროვნული ბალანსი არ იწარმოებოდა, რაც ენერგეტიკული სტატისტიკის ხარისხზე ცუდად აისახებოდა. ყოველი წლის ენერგეტიკული ბალანსი მომდევნო წლის დეკემბერში ქვეყნდება. ენერგეტიკის სტატისტიკის ხარისხი მუდმივად უმჯობესდება. სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამით და საქსტატის მლიერი საერთაშორისო კავშირებით, როგორცაა საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს მხარდაჭერა,</p>	<p><i>სლოვაკეთის რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახური</i> (დამოუკიდებელია 1993 წლის 1 იანვრიდან) არის სტატისტიკის დარგის სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალური ორგანო (მთავრობის საქმიანობის ორგანიზებისა და ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ორგანიზების შესახებ 575/2001 კანონის შესაბამისად) და ახორციელებს უფლებამოსილებებს სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ 540/2001 კანონის შესაბამისად. ენერგეტიკული სტატისტიკა მოიცავს ინფორმაციას ენერჯის წარმოების, მიწოდებისა და მოხმარების შესახებ http://datacube.statistics.sk/#/view/sk/VBD_SK_WIN/en3001rr/v_en3001rr_00_00_00_sk სტატისტიკა ყოველწლიურად ქვეყნდება და მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. სტატისტიკის სამსახური ასევე აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს.</p> <p>სლოვაკეთის ინოვაციებისა და ენერგეტიკის სააგენტო მართავს ენერგოეფექტურობის მონიტორინგის სისტემას სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტროს 31/2014 გადაწყვეტილების საფუძველზე და აკონტროლებს სხვადასხვა სექტორში პირველადი</p>



ფონდის მიმდრძობის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



	<p>ევროკავშირის წვერი ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებთან დამოხილვა (ტვინინგი) და ა.შ. თუმცა, ამავდროულად არსებობს მთელი რიგი ენერგეტიკული ინდიკატორები, რომლებისთვისაც ოფიციალური სტატისტიკა არ იწარმოება და მკვლევრები თუ პოლიტიკის ანალიტიკოსები თვითონ ცდილობენ მათ შეფასებას.</p>	<p>და საბოლოო ენერჯის მოხმარებას ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმების შესაბამისად და აფასებს ენერგოეფექტურობის ზომებს ენერჯის დაზოგვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის კუთხით: https://www.siea.sk/monitorovaci-system/ სააგენტო ასევე აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას ენერგოოპერატორების ადგილმდებარეობის შესახებ - სლოვაკეთის რესპუბლიკის სითბური განაწილების რუკა. კონკრეტული მოთხოვნები, რასაც რუკა უნდა მოიცავდეს, მოცემულია 321/2014 კანონში ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც ემყარება ევროკავშირის 2012/27/EU დირექტივას ენერგოეფექტურობის შესახებ: https://teplnamapa.siea.sk/#loc=19.156944!48.73861099999999!8 SEPS – სლოვაკეთის გადამცემი სისტემის ოპერატორი, წლიური მონაცემები ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის შესახებ: https://www.sepsas.sk/sk/dispecing/rocne-udaje-o-prevadzke/rocenky-sed/. ამ მონაცემების საფუძველზე სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშს: https://www.mhsr.sk/energetika/energeticka-politika/sprava-o-vysledkoch-monitorovania-bezpecnosti-dodavok სლოვაკეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი – ემისიების დეპარტამენტი არის ეროვნული უწყება, რომელიც პასუხისმგებელია სათბურის გაზების ემისიებისა და პროექციის ეროვნული ინვენტარიზაციის სისტემაზე და ამუშავებს ემისიების ინვენტარიზაციის ეროვნულ სისტემას – სტაციონარული წყაროების მონაცემთა ბაზას, რომელიც მონიტორინგს უწევს SO₂, NO_x, CO₂ ემისიებს რეგიონულ დონეზე: http://www.air.sk/en/index.php ჰაერის ხარისხის დაცვის შესახებ 478/2002 კანონის მიხედვით, დაბინძურების მსხვილ, საშუალო და მცირე წყაროებთან დაკავშირებული კომპეტენციები და გადაწყვეტილების მიღება გადაცემული აქვთ რეგიონულ/რაიონულ დონეებს და მუნიციპალიტეტებს.</p>
<p>25. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო</p>	<p>ელექტროენერჯის და გაზის გამანაწილებელი კომპანიები რეგულარულად აწვდიან სემეკს ანგარიშებს ქსელში განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობის შესახებ. სემეკი განიხილავს ამ გეგმებს და ამტკიცებს იმ</p>	<p>ბუნებრივი გაზი: კანონის 251/2012 და ევროპული რეგულაციის EC/715/2009 შესაბამისად, გადამცემი სისტემის ოპერატორებმა (TSO) ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნონ გაზის რეგიონული საინვესტიციო გეგმა. ამ გეგმის მიზანია აჩვენოს რეგიონული გაზის ინფრასტრუქტურის განვითარების ხედვა, რომელიც შეესაბამება ქსელის</p>



	<p>ინვესტიციებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. ინვესტიციები აისახება ტარიფში, რომ გამანაწილებელმა კომპანიებმა შეძლონ დახარჯული ინვესტიციების ამოღება. TSO ასევე შეიმუშავებს და აქვეყნებს ქსელის განვითარების 10-წლიან გეგმებს, სადაც მითითებულია საინვესტიციო გეგმები და მათი საჭიროების დასაბუთება. გეგმებს ამტკიცებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და იგივე სამინისტრო ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს. ბუნებრივი გაზის ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმები შემუშავებულია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის (GOGC) მიერ, გეგმებში განსაზღვრულია საინვესტიციო საჭიროებები და მათი განხორციელების გზები. გეგმის შემუშავებასა და პერიოდულ განახლებაზე პასუხისმგებელია GOGC.</p>	<p>განვითარების ათწლიან გეგმას და აფასებს და ავლენს პოტენციურ სამომავლო ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს. სლოვაკეთის გადამცემი სისტემის ოპერატორი, eustream ორ რეგიონულ საინვესტიციო გეგმაში მონაწილეობს – სამხრეთ კორიდორის რეგიონისთვის და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისთვის: https://www.eustream.sk/en_transmission-system/en_development-of-the-network/en_network-development-plan</p> <p>ელექტროენერჯია: ელექტროენერჯიის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა მომზადებულია სლოვაკეთის გადამცემი სისტემის ოპერატორის – SEPS-ის მიერ 251/2012 კანონის საფუძველზე: https://www.sepsas.sk/media2/Dokumenty/ProgRozvoj/2018/07/DPR_PS_2018_2027.pdf ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერჯიაში ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას აფასებს ქსელური მრეწველობის მარეგულირებელი სამსახური. სამსახური ასევე აქვეყნებს საჯარო კონსულტაციის გეგმის პროექტს/მონახაზს.</p>
<p>26. კრიტიკული ენერჯის მატარებლების უსაფრთხოების რეზერვებზე პასუხისმგებელი ორგანოები. მონიტორინგის მექანიზმი.</p>	<p>საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი და იცავს სახელმწიფო ინტერესებს ინვესტირებთან გაფორმებულ წარმოების გაზიარების ხელშეკრულებებში. GOGC, როგორც საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის მფლობელი, დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. GOGC გეგმავს გაზის პირველი მიწისქვეშა გაზსადენის აშენებას, რომელიც</p>	<p>ნავთობის საგანგებო მარაგების სააგენტო – ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საგანგებო მარაგების მართვის ცენტრალური ორგანო მთავრობა ინარჩუნებს გადაწყვეტილების მიღებაში უმრავლესობის წილს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი სააქციო საზოგადოების მეშვეობით: https://www.spsas.sk/. სააგენტო არის იურიდიული პირების გაერთიანება, რომლის საქმიანობის მიზანია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საგანგებო მარაგების შენარჩუნება. თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, სააგენტო ინარჩუნებს სლოვაკეთის რესპუბლიკის ნავთობის საგანგებო მარაგებს კანონით დადგენილი ოდენობით მაინც, რაც შეესაბამება ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საშუალო დღიური წმინდა იმპორტის მინიმუმ 90 დღის მაჩვენებელს. საგანგებო მარაგი მუდმივად მზად უნდა იყოს დაუყოვნებლივი გამოყენებისთვის: https://www.eosa.sk/en</p>



ფონდის მიმდრეკილი საზოგადოების ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



გაუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ჰესების რეზერვუარებში წყლის მარაგი კონტროლდება რეგულირებადი ჰესებით და მონაცემები დისპეტჩირებისთვის იგზავნება სსე-ში, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს.

რაც შეეხება ნავთობის მარაგებს, საკანონმდებლო ბაზა შემუშავების პროცესშია.

სლოვაკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების

ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ნავთობთან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის მზადყოფნაზე. ის პასუხისმგებელია კრიზისის დროს საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად არსებითად მიჩნეული ყველა რესურსის დაგროვებაზე და უსაფრთხო მიწოდებაზე, გარდა ნავთობის საგანგებო მარაგებისა: <https://www.reserves.gov.sk/index.php/en/introduction/>

ნავთობის საგანგებო მარაგების არსებობის ვალდებულების ფარგლებში, ნავთობის შესანახ ობიექტებს ექსპლუატაციას უმთავრესად ორი მსხვილი ნავთობკომპანია – Transpetrol და Slovnaft და სხვა მცირე კომპანიები უწევენ.

ბუნებრივი გაზი:

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო არის ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანო. იგი ასევე პასუხისმგებელია პრევენციული და საგანგებო გეგმების შენარჩუნებასა და განახლებაზე. იხილეთ ნაწილი (10) 2009 წლის გაზის კრიზისიდან მოყოლებული, ბუნებრივი აირის თითოეულ მიმწოდებელს მოეთხოვება საგანგებო სიტუაციებისთვის მიწისქვეშა საცავებში გაზის მარაგების შენარჩუნება ან მიწოდების დარეზერვება ხელშეკრულებების საფუძველზე. თუმცა, მოცულობის მაქსიმუმ 50% შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ტრანსსასაზღვრო სიმძლავრის გამოყენებით. **SPP** აკმაყოფილებს მიწოდების უსაფრთხოების სტანდარტს ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, გაზსაცავში გაზის საკმარისი მოცულობის შენახვით. მიწისქვეშა საცავის ორი ოპერატორი Nafta და Pozagas ასევე დაკავშირებულია ჩეხეთის და ავსტრიის ბაზრებსა და გამანაწილებელ სისტემებთან. საცავი ძირითადად გამოიყენება მიწოდების უსაფრთხოების მიზნით, სისტემის მოქნილობის უზრუნველსაყოფად.



<p>27. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზღვევის ინსტიტუციური მექანიზმი</p>	<p>ამ ეტაპზე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის (მაგ.: ჰესები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები და ა.შ.) დაზღვევა არ არის რეგულირებული და სავალდებულო არცერთი საკანონმდებლო თუ მარეგულირებელი აქტით. დაზღვევას კერძო ჰესები ბიზნესინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ყიდულობენ ნებაყოფლობით საფუძველზე.</p>	<p>იხ. ნაწილი 17</p>
--	--	----------------------

ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორების ჩარჩო

ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასებისათვის პროექტის ჯგუფმა შეიმუშავა ენერგეტიკული უსაფრთხოების ინდიკატორების ჩარჩო, რომელიც 24 ინდიკატორისგან შედგება და დაჯგუფებულია 6 ნაწილად: ენერგეტიკული რესურსის არსებობა, ენერჯის ფიზიკური ხელმისაწვდომობა, ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საიმედოობა, ენერგეტიკული სისტემის მოქნილობა და მდგრადობა. ჩარჩო გვთავაზობს ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემური შეფასების და დინამიკის ანალიზის შესაძლებლობას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ინდიკატორები იმდაგვარად არის შერჩეული, რომ ითვალისწინებს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის სპეციფიკას და ამავდროულად მოიცავს ყველა ძირითად მიმართულებას ენერგეტიკული უსაფრთხოების სიღრმისეული შეფასებისათვის.

სრული ჩარჩო მოიცავს ინდიკატორების აღწერას, მათი გამოანგარიშების მეთოდოლოგიას, 2019 წლის მონაცემებს, შედარებას ევროკავშირის ქვეყნებთან, რომლებსაც კონკრეტულ ინდიკატორში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ, და ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნების გამოცდილებას. ინდიკატორების ჩარჩო მოცემულია ანგარიშის დანართად.

ენერგეტიკული რესურსების არსებობა

- ენერჯის ადგილობრივი წყაროების წილი შიდა ენერგომომარაგებაში, % წელიწადში – ადგილობრივად წარმოებული ენერჯის პროცენტული წილი ენერჯის მთლიან შიდა მიწოდებაში.
- ენერჯის წმინდა იმპორტზე დამოკიდებულება, % წელიწადში – ენერჯის წმინდა იმპორტის პროცენტული წილი ენერჯის მთლიან მოხმარებაში. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.
- ელექტროენერჯის წმინდა იმპორტდამოკიდებულება, % წელიწადში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლის თვე – ელექტროენერჯის წმინდა იმპორტის პროცენტული წილი ელექტროენერჯის მთლიან მოხმარებაში (ტრანსპორტირების დანაკარგების ჩათვლით) წლიური და თვიური (უმაღლესი) მაჩვენებელი.
- ბუნებრივი გაზის წმინდა იმპორტდამოკიდებულება % წელიწადში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლის თვე – გაზის წმინდა იმპორტის პროცენტული წილი გაზის მთლიან მოხმარებაში (ტრანსპორტირების დანაკარგების ჩათვლით) ყოველწლიურად და ყოველთვიურად. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.
- სეზონური განსხვავება ელექტროენერჯის მოხმარებაში – აფასებს ქვეყნის მოწყვლადობას ელექტროენერჯის მოხმარებისადმი ყოველთვიურ ჭრილში.
- სეზონური განსხვავება გაზის მოხმარებაში – აფასებს ქვეყნის მოწყვლადობას გაზის მოხმარებისადმი ყოველთვიურ ჭრილში.
- განახლებადი ენერჯის წყაროების წილი შიდა ენერგომომარაგებაში – მიუთითებს შიდა ენერგორესურსების არსებობაზე, მოქნილობასა და მდგრადობაზე. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.
- გაზსაცავის მოცულობა – აფასებს, აქვს თუ არა ქვეყანას საკმარისი მოცულობის გაზსაცავი და სტრატეგიული მარაგები.

ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო

- ნავთობის საცავის მოცულობა – აფასებს, აქვს თუ არა ქვეყანას საკმარისი მოცულობის ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტების საცავი და სტრატეგიული მარაგები.
- ელექტროენერჯის ურთიერთდაკავშირების სიმძლავრე – ელექტროენერჯის ურთიერთდაკავშირების დონე არის ქვეყნის ელექტროენერჯის იმპორტის ურთიერთდაკავშირების სიმძლავრის და მისი მთლიანი გენერაციის სიმძლავრის შეფარდება. შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.

ენერჯის ფიზიკური ხელმისაწვდომობა

- ელექტროენერჯის ფიზიკური ხელმისაწვდომობა – შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ წვდომა ელექტროენერჯიაზე (მოსახლეობის %)
- ბუნებრივი გაზის ფიზიკური ხელმისაწვდომობა – შინამეურნეობების წილი, რომლებსაც აქვთ წვდომა გაზზე (მოსახლეობის %)

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საიმედოობა

- ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა – სისტემის შეფერხების საშუალო სიხშირის ინდექსი (SAIFI) არის მომხმარებლების მიერ გამოცდილი შეფერხებების საშუალო რაოდენობა.
- ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა (შეწყვეტის ხანგრძლივობის გათვალისწინებით) – სისტემის შეფერხების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (SAIDI) არის თითოეული აბონენტის გათიშვის საშუალო ხანგრძლივობა.
- N-1 წესი გაზის ინფრასტრუქტურისთვის – არის ინფრასტრუქტურის ადეკვატურობის მაჩვენებელი. ის ამოწმებს სისტემის მედეგობას, თუ რამდენად შეუძლია სისტემას უკიდურესად ცივ დღეებში უზრუნველყოს გაზის მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაშიც კი. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.
- N-1 წესი ელექტროენერჯისათვის – არის ინფრასტრუქტურის ადეკვატურობის მაჩვენებელი, ამოწმებს სისტემის მედეგობას, თუ რამდენად შეუძლია სისტემას უკიდურესად ცივ დღეებში უზრუნველყოს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაშიც კი. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.

ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა

- ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა შინამეურნეობებში (%) – ზომავს ფასების ზემოქმედებას მომხმარებლებზე. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში (IM8: ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა – ენერჯიაზე გაწეული დანახარჯების წილი საბოლოო ხარჯებში მოსახლეობის ყველაზე დარიბი 20%-ისთვის)

ენერგოსისტემის მოქნილობა

- ნავთობპროდუქტების იმპორტის დივერსიფიკაცია – მიმწოდებლის კონცენტრაციის ინდექსი (SCI) გვიჩვენებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმწოდებლებისგან იმპორტირებული ძირითადი ენერგომატარებლების კონცენტრაციას. SCI არის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომლის დიაპაზონიც 0-100 მდე მერყეობს. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.

ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო

- ბუნებრივი გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია – მიმწოდებლის კონცენტრაციის ინდექსი (SCI) გვიჩვენებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმწოდებლებისგან იმპორტირებული ძირითადი ენერგომატარებლების კონცენტრაციას. SCI არის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომლის დიაპაზონიც 0-100 მდე მერყეობს. ეს ინდიკატორი შედის ენერგეტიკული კავშირის ინდიკატორებში.
- ჰიდროენერგეტიკის წარმოების არასტაბილურობა – ეს მაჩვენებელი ზომავს ჰიდროენერგეტიკის წარმოების რისკისა და მდგრადობის ასპექტებს.

ენერგეტიკის მდგრადობის ინდიკატორები

- ენერგოინტენსივობა მშპ-ზე (ტერაჯ/\$ რეალური მშპ. მლნ.) – ზომავს ენერგიის მოხმარებას ეკონომიკის მწარმოებლურობასთან მიმართებით (რეალური მშპ). როგორც შიდა მდგრადობის ინდიკატორი, აჩვენებს რამდენად განიცდის ზიანს ქვეყნის ეკონომიკა ენერგიის მიწოდების წყვეტისას.
- ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (გიგაჯ/ერთ სულზე) – ზომავს ენერგიის მოხმარებას მოსახლეობასთან მიმართებით.
- ენერგეტიკული დანახარჯების ინტენსივობა მშპ-ზე – გვიჩვენებს ეკონომიკის მედეგობას ენერგეტიკული ფასების ცვალებადობის მიმართ.
- ქსელის ემისიის ფაქტორი – ეხება სათბურის გაზების ემისიის ფაქტორს (ტCO² ეკვ./კვტ.სთ), რომელიც გვიჩვენებს ერთეული ელექტროენერგიის წარმოებისას გაფრქვეული სათბურის აირების მოცულობას.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება

ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება ჩატარდა 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ზემოთ აღწერილი ინდიკატორების შესაბამისად.

ცხრილი 2. ენერგეტიკული უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება საქართველოში (2019 წლის მონაცემები)

განზომილებები	ინდიკატორი	მაჩვენებელი	მაჩვენებლების რანჟირება
ენერგეტიკული რესურსის არსებობა	ადგილობრივი ენერგორესურსების წილი შიდა ენერგომომარაგებაში (%) წელი	21.4%	1 - 0-20% (მალიან ცუდი) 2 - 20%-40% (ცუდი) 3 - 40%-60% (საშუალო) 4 - 60% - 80% (კარგი) 5 - 80% - 100% (მალიან კარგი)
	ენერგიის წმინდა იმპორტდამოკიდებულება (%) წელი	80.72%	1 - 80% - 100% (მალიან ცუდი) 2 - 60%-80% (ცუდი) 3 - 40%-60% (საშუალო) 4 - 20% - 40% (კარგი) 5 - 0-20% (მალიან კარგი)
	ელექტროენერგიის წმინდა იმპორტდამოკიდებულება (%) წელი, თვე (ყველაზე მაღალი)	10.6% წლიურად 2019 19.7% ოქტომბერი 2019	1 - 80%-100% (მალიან ცუდი) 2 - 60%-80% (ცუდი) 3 - 20%-60% (საშუალო) 4 - 10%-20% (კარგი) 5 - 0-10% (მალიან კარგი)

	ბუნებრივი აირის წმინდა იმპორტდამოკიდებულება (%) წელი, თვე (ყველაზე მაღალი)	99.64% წლიურად 2019 99.81% დეკემბერი 2019	1 - 80% - 100% (მალიან ცუდი), ევროკავშირის 16 ქვეყანა 2 - 60%-80% (ცუდი) 3 - 40%-60% (საშუალო) 4 - 20% - 40% (კარგი) 5 - 0-20% (მალიან კარგი), დანია და ნიდერლანდი
ენერგეტიკული რესურსის არსებობა	ელექტროენერჯის მოხმარების სეზონურობა	1.10 დეკემბერი	1 - 1.8< (მალიან ცუდი) 2 - 1.6-1.8 (ცუდი) 3 - 1.4-1.6 (საშუალო) 4 - 1.2-1.4 (კარგი) 5 - 1.0-1.2 (მალიან კარგი)
	გაზის მოხმარების სეზონურობა	1.73 დეკემბერი	1 - 1.8< (მალიან ცუდი) 2 - 1.6-1.8 (ცუდი) 3 - 1.4-1.6 (საშუალო) 4 - 1.2-1.4 (კარგი) 5 - 1.0-1.2 (მალიან კარგი)
	განახლებადი ენერჯის წყაროების წილი ადგილობრივ ენერგომომარაგებაში	20.4%	1 - 0-10% (მალიან ცუდი), ლუქსემბურგი=7.05% 2019 წელს 2 - 10%-20% (ცუდი), EU 27=19.73% 2019 წელს 3 - 20%-30% (საშუალო), ხორვატია=28.45% 4 - 30% - 40% (კარგი), დანია=37% 5 - 40%< (მალიან კარგი), ისლანდია=78.20%, ნორვეგია=74.63%
	გაზსაცავი	იგეგმება აშენება 2024 წლისთვის	1 – არ არსებობს (მალიან ცუდი) 2 – იგეგმება აშენება (ცუდი) 3 – საცავი საკმარისი მოცულობის გარეშე (საშუალო) 4 – საცავი საკმარისი მოცულობით (კარგი) 5 – საცავი საკმარისზე მეტი მოცულობით (მალიან კარგი)
	ნავთობის საცავი	იგეგმება აშენება 2023 წლისთვის	1 – არ არსებობს (მალიან ცუდი) 2 – იგეგმება აშენება (ცუდი) 3 – საცავი საკმარისი მოცულობის გარეშე (საშუალო) 4 – საცავი საკმარისი მოცულობით (კარგი) 5 – საცავი საკმარისზე მეტი მოცულობით (მალიან კარგი)
	ელექტროენერჯის ურთიერთდაკავშირების მაჩვენებელი	41%	1 - 0%-5% (მალიან ცუდი), პოლონეთი=4% 2016 წელს 2 - 5%-10% (ცუდი), იტალია=7% 3 - 10%-15% (საშუალო), ბელგია=13% 4 - 15% - 20% (კარგი), ჩეხეთის რესპუბლიკა=19% 5 - 20%< (მალიან კარგი), სლოვენია=85%, ლუქსემბურგი=163%

ენერჯის ფიზიკური ხელმისაწვდომობა	ელექტროენერგიაზე წვდომა	100%	1 - 50%-70% (მალიან ცუდი) 2 - 70%-90% (ცუდი) 3 - 90%-95% (საშუალო) 4 - 95% - 99% (კარგი) 5 - 100% (მალიან კარგი)
	ბუნებრივ გაზზე წვდომა	72%	1 - 50%-60% (მალიან ცუდი) 2 - 60%-70% (ცუდი) 3 - 70%-80% (საშუალო) 4 - 80% -90% (კარგი) 5 - 90% - 100% (მალიან კარგი)
ინფრასტრუქტურის საიმედოობა	ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა	თელასი - 5.90 ენერგო-პრო ჯორჯია - 27.30	1 - 7<წყვეტა/მომხმარებელი (მალიან ცუდი), პორტუგალია 7< 2 - 5-7 წყვეტა/მომხმარებელი (ცუდი) 3 - 3-5 წყვეტა/მომხმარებელი (საშუალო) 4 - 2-3 წყვეტა/მომხმარებელი (კარგი) 5 - 0-2 წყვეტა/მომხმარებელი (მალიან ცუდი)
	ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა (საათები)	თელასი - 9:52:26 ენერგო-პრო ჯორჯია - 55:26:20	1 - 1000< წუთი/მომხმარებელი (მალიან ცუდი) ლატვია 1000 წთ. < 2016 წელს 2 - 400-1000 წუთი/მომხმარებელი (ცუდი) 3 - 100-400 წუთი/მომხმარებელი (საშუალო) 4 - 10-100 წუთი/მომხმარებელი (კარგი) 5 - 0-10 წუთი/მომხმარებელი (მალიან კარგი)
	ელექტროენერჯის N-1 წესი	100%-ზე ნაკლები 2019 წლისთვის	1 - <70% (მალიან ცუდი) 2 - 70%-90% (ცუდი) 3 - 90%-100% (საშუალო) 4 - =100% (კარგი) 5 - 100%< (მალიან კარგი)
	გაზის ინფრასტრუქტურის N-1 წესი	87% – იმ შემთხვევაში, თუ სომხეთში ტრანზიტი შეზღუდულია დაბალი მოთხოვნის ან სომხეთთან წინასწარი შეთანხმების გამო (2020)	1 - <70% (მალიან ცუდი), შვედეთი <50% 2 - 70%-90% (ცუდი) 3 - 90%-100% (საშუალო) 4 - =100% (კარგი) 5 - 100%< (მალიან კარგი), ჩეხეთის რესპუბლიკა >350%
ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა	ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობა შინამეურნეობებში (%)	8.78% (მთლიანი დანახარჯების) 8.56% (მთლიანი შემოსავლის)	1 - 16% < (მალიან ცუდი), სლოვაკეთი 20%< 2016 წელს 2 - 12%-16% (ცუდი) 3 - 8%-12% (საშუალო) 4 - 4%-8% (კარგი) 5 - 1%-4% (მალიან კარგი), შვედეთი <5% 2016 წელს

ენერგეტიკული სისტემის მოქნილობა	ნავთობპროდუქტების იმპორტის დივერსიფიკაცია	12.94 – ბენზინის მიმწოდებლის კონცენტრაციის ინდექსი (SCI) (2019) 4.57 – საგზაო დიზელის მიმწოდებლის კონცენტრაციის ინდექსი (SCI) (2019)	1 - 80-100 (მალიან ცუდი), ლიეტუვა >80% 2 - 60-80 (ცუდი) 3 - 30-60 (საშუალო) 4 - 15-30 (კარგი) 5 - 0-15 (მალიან კარგი), ლუქსემბურგი<10%
	ბუნებრივი აირის იმპორტის დივერსიფიკაცია	99.64 – ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის კონცენტრაციის ინდექსი (SCI) (2019)	1 - 80-100 (მალიან ცუდი) 2 - 60-80 (ცუდი) 3 - 30-60 (საშუალო) 4 - 15-30 (კარგი) 5 - 0-15 (მალიან კარგი)
	ჰიდროგენერაციის არასტაბილურობა	39.5% საათობრივად 33.1% – ყოველთვიურად	1 - 80%< (მალიან ცუდი) 2 - 40%-80% (ცუდი) 3 - 20%-40% (საშუალო) 4 - 10%-20% (კარგი) 5 - 0%-10% (მალიან კარგი)
ენერგეტიკის მდგრადობის ინდიკატორები	ენერგოინტენსივობა მშპ-ზე (ტერაჯ/\$ მლნ.რეალური. მშპ.)	14.94	1 - 10< (მალიან ცუდი), ისლანდია=13.7 2 - 8-10 (ცუდი) 3 - 5-8 (საშუალო) 4 - 2-5 (კარგი) 5 - 0-2 (მალიან კარგი), ირლანდია=1.3
	ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (გიგაჯ/ერთ სულზე)	57.46	1 - 0-20 ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (მალიან ცუდი) ან 160<, აფრიკის ქვეყნები<15 2019 წელს 2 - 20-40 ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (ცუდი), ალბანეთი=34 3 - 40-80 (საშუალო), რუმინეთი=71 4 - 80-120 (კარგი), შვეიცარია=119 5 - 120- 160 ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (მალიან კარგი), გერმანია=48
	ენერგიაზე დანახარჯების წილი მშპ-ში (ენერგიის ხარჯვის ინტენსივობა)	15.3%	1 - 20%< (მალიან ცუდი) 2 - 15%-20% (ცუდი) 3 - 10%-15% (საშუალო) 4 - 5%-10% (კარგი) აშშ=5.8% 2017 წელს 5 - 1%-5% (მალიან კარგი), იტალია=2.4% 2018 წელს
	ქსელის ემისიის ფაქტორი	113.60	1 - 400< (მალიან ცუდი), ბულგარეთი=486 2017 წელს 2 - 300-400 (ცუდი), პორტუგალია=350 2017 წელს 3 - 200-300 (საშუალო), EU28 საშუალო=294 2017 წელს 4 - 100-200 (კარგი) დანია=147 2017 წელს 5 - 1-100 (მალიან კარგი), შვედეთი=9.3 გCO2 ეკვ./კვტ.სთ, ნორვეგია=18 2017 წელს

ძირითადი მიგნებები

ენერგეტიკული უსაფრთხოება კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხია პოლიტიკის შემქმნელების, ბიზნესის წარმომადგენლებისა თუ მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგან ადამიანების ცხოვრების ხარისხი ენერჯის უწყვეტ მიწოდებაზეა დამოკიდებული. სულ უფრო ხშირად გამოიყენება ენერგეტიკული უსაფრთხოების ინდიკატორები/ინდექსები, რომელთა საშუალებითაც ფასდება არსებული მდგომარეობა, პროგრესი თუ განსხვავება სხვადასხვა ქვეყანას შორის. მოცემული დოკუმენტი შეიძლება გამოყენებული იყოს ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, განსაკუთრებით, ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულებით. შეფასების პირველი რაუნდი 2019 წლის მონაცემებს ემყარება, ძირითადი მიგნებები არის შემდეგი:

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობის 2019 წლის საერთო მაჩვენებელი არის 2.67 (შეესაბამება მაჩვენებელს „ცუდი“) იმ შემთხვევაში, თუ ყველა ინდიკატორს ერთნაირი წონა აქვს მინიჭებული.

- საქართველო ენერჯის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, განსაკუთრებით – გაზის კუთხით.
- გაზის მოხმარებას მაღალი სეზონურობა ახასიათებს.
- ქვეყანას გაზისა და ნავთობპროდუქტების სტრატეგიული საცავები და მარაგები სჭირდება.
- ენერგო-პრო ჯორჯიას მოქმედების არეალში ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა დაბალია.
- საქართველომ უნდა გააუმჯობესოს N-1 ინდიკატორის მაჩვენებელი გაზისა და ელექტროენერჯის მიმართულებით.
- საქართველოს ბუნებრივი გაზის ბაზარს კრიტიკულად მაღალი კონცენტრაცია ახასიათებს.
- ენერგოინტენსივობა მშპ-ზე და ენერგეტიკული დანახარჯების ინტენსივობა მშპ-ზე ძალიან მაღალია, რაც მიუთითებს ენერჯის არაეფექტურ მოხმარებაზე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.
- თუმცა, ქვეყანას აქვს ძალიან კარგი შედეგები ელექტროენერჯის ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობებში, ელექტროენერჯიაზე ხელმისაწვდომობის, ნავთობპროდუქტების იმპორტის დივერსიფიკაციისა და ქსელის ემისიის ფაქტორში.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო შეფასების ჩარჩოს შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად და ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიტიკური ნაწილების შესავსებად. ენერგეტიკული უსაფრთხოების ინდიკატორების ჩარჩოს მსგავსად, ინსტიტუციური შეფასების ჩარჩოც შეიძლება პერიოდულად განახლდეს და გამოყენებული იყოს პროგრესის შესაფასებლად და პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზისთვის. ჩარჩო მოიცავს ინდიკატორების ერთობლიობას, რომლებიც ეხება ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და სამართლებრივი მოწყობის ყველა ასპექტს/პრინციპს. თუმცა, რაოდენობრივი შეფასებისგან განსხვავებით, აუცილებელი არ არის სამართლებრივი და ინსტიტუციური შეფასების ყოველწლიური გადახედვა. ჩარჩო შეიძლება განახლდეს ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ.

ორივე ჩარჩოს მიზანია ენერგეტიკული უსაფრთხოების რეგულარული ანალიზი და შეფასება, რომ ენერგეტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღება ემყარებოდეს ინფორმაციასა და მონაცემებს. ეს ეხება ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში განსახორციელებელ დირექტივებსაც.